

"24 საათის" ფიქციური ნომერი

*2424

ინილეთ ჩანართი



ვინ გაიზიარებს ავადმჯიშადის გამოცდილებას?

A4



მეცდომები თუ ახალი გზები კულტურაში

A7



24საათი

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე

www.24saati.ge

ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი

TBC BANK

ჩვენ ვაძლევთ ერთმანეთს

GRDC group

ჯი პი ჯი

შენი სადაზღვევო ჯგუფი

პრეზიდენტის ინისკიატივები

დათო გაბისონია

გუშინ საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი პარლამენტში სიტყვით გამოვიდა. პრეზიდენტმა ქვეყანაში არსებულ რთულ ვითარებაზე ისაუბრა. მან განაცხადა: "მე აქ იმისთვის არ მოვსულვარ, რომ გითხრათ - ყველაფერი კარგად არის ან წარსულ მიღწევებზე ვილაპარაკო... ჩვენს სამშობლოს და ჩვენს ხალხს მართლაც ძალიან რთული დრო უდგას. ჩვენი ტერიტორიები ოკუპირებულია უცხოელი დამპყრობლის მიერ, რომელიც ცდილობს, შეარყიოს და ჩამოშალოს ჩვენი სახელმწიფოებრიობა."

როგორც პრეზიდენტმა განაცხადა, საქართველოს მოქალაქეები იძულებულნი არიან, თვალი გაუხსნონ მსოფლიოში შექმნილ ეკონომიკურ კრიზისს. არსებული გამოწვევების გადალახვის და ახალი შესაძლებლობების შექმნის აუცილებელი პირობა, პრეზიდენტის თქმით, ქართული დემოკრატიის კიდევ უფრო გაძლიერებაა.

გაგრძელება A2 გვერდზე



გაიდენის უკრაინულ-ქართული მისია

აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტ ჯოზეფ ბაიდენის პოსტსაბჭოთა ტურნე გუშინ კიევიდან დაიწყო. უკრაინის ხელისუფლება აშშ-ს დელეგაციასთან მოლაპარაკებებზე ქვეყნის უსაფრთხოების გარანტიების, ენერგოუსაფრთხოებისა და ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხების დაყენებას გეგმავს. ობამას ადმინისტრაციის მეორე პირის დასახვედრად თბილისშიც ემზადებიან. კიევსა და თბილისში ელიან, რომ ბაიდენი უკრაინისა და საქართველოს მიმართ მხარდაჭერას კიდევ ერთხელ დააფიქსირებს და დადასტურებს, რომ რუსეთთან ურთიერთობების "გადატვირთვა" სხვა ქვეყნების ინტერესების ხარჯზე არ მოხდება.

დიმიტრი ავალიანი

ოფიციალურ შეხვედრებს უკრაინის დედაქალაქში აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტი დღეს გამართავს. იგი შეხვედრა უკრაინის პრეზიდენტ ვიქტორ იუშჩენკოს, პრემიერ-მინისტრ იულია ტიმოშენკოს, "რეგიონების პარტიის" ლიდერ ვიქტორ იანუკოვიჩს და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებს.

უკრაინის პრეზიდენტის პრეს-მდივან ირინა ვანიკოვას განცხადებით, იუშჩენკოსა და ბაიდენის მოლაპარაკებების თემა ორ ქვეყანას შორის სტრატეგიული პარტნიორობის აქტუალური საკითხები იქნება. კერძოდ, საუბარი შეეხება სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის რეალიზაციას, "ასევე კონკრეტულ ნაბიჯებს უკრაინის ეროვნული უსაფრთხოების გა-

რანტიების უზრუნველსაყოფად." უკრაინის პრეზიდენტი ასევე აპირებს, აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტთან ენერგეტიკული უსაფრთხოების, თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის და უკრაინის ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხები განიხილოს.

ვიქტორ იუშჩენკო და ჯოზეფ ბაიდენი კიევიში "გოლოდომორის" მსხვერპლთა მემორიალს ყვავილებით შეამკობენ.

როგორც უკრაინულ ინტერნეტ-გამოცემა "გლავედ"-ს უკრაინის ყოფიმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ანატოლი ზლენკომ განუცხადა, ბაიდენის ვიზიტი უკრაინისთვის სამი რამის გამო არის მნიშვნელოვანი: ბაიდენი აშშ-ს ადმინისტრაციაში მნიშვნელობით მეორე ფიგურაა,

გაგრძელება A3 გვერდზე

პროტესტი პარლამენტის ირგვლივ

დათო გაბისონია

გუშინ საკანონმდებლო ორგანოში პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მისვლას ახალგაზრდული ორგანიზაციების წარმომადგენლები დილიდან ელოდნენ. მოძრაობის "შემოგვიერთდით" წარმომადგენლებმა პრეზიდენტის გამოჩენამდე სააკაშვილის ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული შეძახილებით შემოუარეს პარლამენტის შენობას და შესასვლელებთან განაგრძეს მჯდომა რე აქცია. ისინი პარლამენტის შენობისკენ მიმავალ დეპუტატებს სტვენით და სკანდირებით ხვდებოდნენ. მოგვიანებით აქციის ადგილას საპატრულო პოლიციის წარმომადგენლები გამოჩნდნენ. "კონსერვატიული პარტიის" ნევრ ბიძინა გუჯაბიძის ინფორმაციით, სამართალდამცველებმა აქციის რამდენიმე მონაწილე დააკავეს. მათ შორის არიან მელორ ვაჩნაძე და ანრი ბიბილეიშვილი. პარლამენტის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე მყოფმა "კონსერვატორმა" ლაშა ჩხარტიშვილმა განაცხადა, რომ "აქტივისტების

დაკავება კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ ქვეყანაში დიქტატურაა". მისი თქმით, ახალგაზრდები კონსტიტუციით მინიჭებულ უფლებას იყენებდნენ და პროტესტს მშვიდობიანად გამოხატავდნენ, ამიტომ მათი დაკავება უკანონოა.

ახალგაზრდა აქტივისტების დაკავების შემდეგ პარლამენტის შენობის წინ შეიკრიბნენ არასაპარლამენტო ოპოზიციის ლიდერები. მათ შორის იყვნენ გოგა ხაინდრავა, სალომე ზურაბიშვილი, ეკა ბესელია და ლევან გაჩეჩილაძე. მათ მომხდარი ინციდენტის შესახებ ისაუბრეს. "მომიტინგეების დაჭერა აბსოლუტური უკანონოა და არანაირ სამართლებრივ ჩარჩოებში არ ჯდება. მიხეილ სააკაშვილს ოპოზიციონერების ხმის გაგონება არ სურს და ამიტომ პოლიციას ოპოზიციის ახალგაზრდა აქტივისტები დააშლევინა," - განაცხადა "მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის" გენერალურმა მდივანმა ეკა ბესელიამ. გარდა ამისა, მან შსს-ს აქტივისტების დაკავების მიზეზების განმარტება მოსთხოვა.

პრაზიდენტის გამოცვლა - საპარლამენტო დებატების მთავარი კატალიზატორი

პარლამენტში გუშინ გამართულ დებატებში პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მონაწილეობამ და საკანონმდებლო ორგანოში მის მიერ გამოთქმულმა ინიციატივებმა პოლიტიკურ დისკუსიას უფრო მეტი სიმწვავე შემატა და ის უფრო თემატური გახადა. ხუთ საათზე მეტი ხნის განმავლობაში პარლამენტში მიმდინარე დებატებს პირველი ლედი და საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებიც ადევენბდნენ თვალს.

გიორგი ასანიშვილი
პარიკო თაყზაძე

პრეზიდენტის ორმოცწუთიანი მოხსენების მოსმენის შემდეგ "საქმეში" პარლამენტარები ჩაებნენ. პირველი გამომსვლელი, ვისაც პრეზიდენტის შემდეგ საპარლამენტო ტრიბუნა დაეთმო, "ქართული დასის" ლიდერი ჯონდი ბალათურია იყო.

"ქვეყანაში სოციალური უსამართლობაა. 900 ათასი ადამიანი სოციალურად გაჭირვებულია, 600 ათასი კი ამ რიგში დგას," - აღნიშნავს ბალათურია. იგი პრეზიდენტის საქმიანობის შემსწავლელი კომისიის შექმნის წინადადებით გამოდის და მიხეილ სააკაშვილს საყვედურობს, რომ მან 12-მილიონიანი ქონება პარლამენტის ყოფილ თავმჯდომარეს, სულ რაღაც, ერთ ლარად გადასცა. ამასთან, ბალათურია სთავაზობს ხელისუფლებას, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, გაყინოს ან შეამციროს კომუნალური გადასახადები. კიდევ ერთი უფრაქციო დეპუტატი პეტრე მამრადე კი მიიჩნევს, რომ საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება ავტორიტარულ რეჟიმად გადაგვარდა.

"ქვეყანას მართავს 6-7 პირი, რომლებიც ყველა კანონზე მაღლა დგანან," - ამტკიცებს მამრადე, რომელიც მოუწოდებს მიხეილ სააკაშვილს, დაასრულოს "პოლიტიკურ საბავშვო ბაღობანას თამაში". "ქრისტიან-დემოკრატების" წარმომადგენელი მაგდა ანიკაშვილი ხელისუფლების აქილევსის ქუსლად ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სფეროს ასახელებს და ამტკიცებს, რომ აღნიშნულ დარგებში არანაირი პროგრესი არ შეიმჩნევა. "ჯანდაცვის სფერო ჩავარდნილი პროდუქტების საწყობად გადაიქცა," - სინანულით დასძენს გიორგი თარგამაძის თანაპარტიელი.

პრესიტან-დემოკრატების შეთავაზებებით უკმაყოფილოა პარლამენტის ოპოზიციონერი ვიცე-სპიკერი პაატა დავითაია. "მიხეილ სააკაშვილი რაიმე არსებითი ახალი ინიციატივით არ გამოსულა. ის, რაც მან თბილისის მერის პირდაპირი არჩევნების შესახებ განაცხადა, საზოგადოებისთვის აქამდეც იყო ცნობილი," - მიიჩნევს დავითაია, რომლისთვისაც ისიც გაუგებარია, თუ საერთოდ რატომ არ ისაუბრა მიხეილ სააკაშვილმა მანი-

ფესტაციების შესახებ კანონმდებლობის გამკაცრებაზე. მან პრეზიდენტის თანდასწრებით კიდევ ერთხელ მოითხოვა, რომ საქართველოს პროკურატურამ სეპარატისტთა ლიდერების წინააღმდეგ აღძრას სისხლის სამართლის საქმე.

მეორე ოპოზიციონერი ვიცე-სპიკერის ლევან ვეფხვაძის შეფასებით, მიხეილ სააკაშვილის საპარლამენტო გამოსვლამ დაადასტურა, რომ ხელიისუფლება უკვე წინასაარჩევნო რეჟიმში გადავიდა. "პრეზიდენტმა მინისტრებს, ჩიწონიკებს და დეპუტატებს მოუწოდა, გავიდნენ ხალხში, მთელი აგვისტო მოსახლეობასთან შეხვედრებში გაატარონ და მათი პრობლემები მოისმინონ. მიხეილ სააკაშვილმა ამის საბოლოო ვადად 10 სექტემბერი დაასახელა. მე მაინტერესებს, რას უკავშირდება ეს თარიღი და რა ხდება 11 სექტემბრიდან?" - კითხულობს ლევან ვეფხვაძე. იგი სთავაზობს პრეზიდენტს, რომ ვეტო დაადოს მანიფესტაციების შესახებ კანონში პარლამენტის მიერ ახლახან შეტანილ ცვლილებებს და მას საკანონმდებლო ორგანო ვენეციის კომისიის დასკვნის შემდეგ დაუბრუნდეს. "საქართველოს უახლეს ისტორიაში გმირად შევა არა ის, ვინც ტაშით მოვა ხელისუფლებაში, არამედ ის, ვინც ტაშით წავა. ამის შანსი კი თქვენთვის, ბატონო პრეზიდენტო, სამწუხაროდ, თანდათან მცირდება," - ამ სიტყვებით დაასრულა თავისი მწვავე გამოსვლა საპარლამენტო უმცირესობის ლიდერმა გიორგი თარგამაძემ.

რადიკალურად განსხვავებული ხედვა აქვთ საპარლამენტო უმრავლესობის წევრებს. "ყოვლისმომცველი მოხსენება" - ასეთ შეფასებას აძლევენ სახელიისუფლებო ფრაქციის წარმომადგენლები პრეზიდენტის მოხსენებას. ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე გია არასენიშვილი იმით არის გაოცებული, რომ პრეზიდენტს, ძირითადად, ის ხალხი ესხმის თავს, ვისთვისაც მიხეილ სააკაშვილს, თავის დროზე "ბევრი კარგი გაუკეთებია".

"ისე არ უნდა დაეუპირისპირდეთ ერთმანეთს, რომ მოგსპოთ კონსტრუქციული დიალოგის საშუალება," - მოუწოდებს არსენიშვილი პოლიტიკურ ოპონენტებს.

კიდევ ერთი საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარისთვის - ნუგზარ ნიკლაურისთვის გაუგებარია,

თუ როგორ შეიძლება იმის მტკიცება, თითქოს აგვისტოს ომი "პროვზულმა შეურაცხყოფებმა" განაპირობა.

"საქართველო დაუმარცხებელი ქვეყანაა და მას, საკუთარი თავის გარდა, ვერავინ მოერევა. ვისაც "დვა დვაცეტიანი კალბასი" და "ჩიტრესტა დვენაცეტი" "მოსკიჩი" ენატრება, მე მათთან საერთო გზა არ მაქვს," - ზოგიერთ პოლიტიკურ ოპონენტთან გადაულახავ მიჯნას ავლებს სახელისუფლებო ფრაქციის ერთ-ერთი სახე.

პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე გიგი წერეთელი მიხეილ სააკაშვილის ინიციატივებს "საინტერესოს" უწოდებს და დარწმუნებულია, რომ საზოგადოება მას "ღირსეულად შეაფასებს". იგი არ ეთანხმება მაგდა ანიკაშვილის კრიტიკულ პათოსს და სულაც არ მიიჩნევს, რომ ჯანდაცვის სფეროში "აპოკალიფსურად არის საქმე". თავისი ნათქვამის სიმართლის საილუსტრაციოდ, წერეთელი მზად არის, ოპონენტებთან ერთად, თბილისის საავადმყოფოებში მცირე ექსკურსიაც კი განახორციელოს.

"ოპოზიციასაც აქვს თავისი წილი პასუხისმგებლობა, ყოველ შემთხვევაში, იმ დონით მაინც, რომ ქვეყნის სტაბილურობა ხელი არ შეუშალოს," - მიმართავს წერეთელი ოპოზიციის წარმომადგენლებს.

გუშინ გაცილებით მკაცრი ტონი ჰქონდა საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერ პეტრე ცისკარიშვილს.

"კონსტრუქციული ოპოზიციონერობიდან ულტრადიკალიზმამდე ერთი ნაბიჯია. ამის მაგალითია თუნდაც დავით გამყრელიძე, რომელიც ადრე კონსტრუქციულ პოლიტიკოსად ითვლებოდა, ბოლო დროს კი იმით არის დაკავებული, რომ რკინიგზის ლიანდაგებში ქვებს აწყობს. თქვენ, "ქრისტიან-დემოკრატები" კი პირიქით, წინათ ულტრადიკალები იყავით, ახლა კი ცდილობთ, კონსტრუქციულ ოპოზიციად წარმოჩინდეთ," - პოლიტიკური ოპონენტების მიმართ საყვედური არ დაუშურებია ხელისუფლების საპარლამენტო გუნდის ხელმძღვანელს.

უმრავლესობის სახელით სულ ბოლოს ტრიბუნა დაეთმო გიორგი გაბაშვილს, რომელმაც გამოსვლა მთლიანად ირონიზებაზე ააგო და ოპონენტებს გარკვეული თემების მითოლოგიზებაში დასდო ბრალი. ასეთ თემებად, გაბაშვილის აზრით, იქცა რეფორმები განათლების და ჯანდაცვის სფეროებში, სასამართლო სისტემა, მოსახლეობის სოციალური დაცვის საკითხები, დიქტატურა და სხვა. მან მოუწოდა ოპოზიციას, გათავისუფლდნენ ამ მითებისგან და როდესაც კრიტიკულად აფასებენ ამა თუ იმ სფეროს და მოჰყავთ შესაბამისი სტატისტიკა, მხოლოდ ნუგატიურზე ნუ გააკეთებენ აქცენტს და

მოსახლეობას სრული სურათი დაუხატონ.

პარლამენტართა გამოსვლების შემდეგ პრეზიდენტმა დასკვნითი სიტყვა წარმოთქვა. იგი გამოეხმაურა თითქმის ყველა კრიტიკულ შენიშვნას. ჯანდაცვის სისტემასა და სოციალურ სფეროზე საუბრისას მან აღნიშნა, რომ მართლაც უამრავი პრობლემა არსებობს, თუმცა, ოპოზიციამ წარმატებების დანახვაც უნდა შეძლოს.

მიხეილ სააკაშვილმა ვრცლად ისაუბრა იაფი დაზღვევის პროგრამის წარმატებულობაზე. "ეს ხალხმაც დაინახა, უკვე 100 ათას კაცზე ავედით", - დასძინა პრეზიდენტმა.

როგორც გუშინ მიხეილ სააკაშვილმა ბრძანა, თავისი ოჯახის წევრი, საქართველოს პირველი ლედი, რომელიც ბოლო პერიოდში ექთნის პროფესიას დაეუფლა, კვირამი ერთხელ მაინც მორიგეობს საკმაოდ არაპრესტიჟულ სამედიცინო კლინიკებში. ამით სააკაშვილმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჯანდაცვის სისტემაში არსებული პრობლემები მისთვის უცხო არ არის და იგი ბევრს ფიქრობს აღნიშნული საკითხების მოგვარებაზე. "ვიცი, რომ ბევრი ექიმი გაუსაძლის მდგომარეობაშია, მაგრამ გაჩნდა კუნძულებიც ქართულ მედიცინაში", - მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, პროგრესით ხორციელდება ე.წ. ასი საავადმყოფოს პროგრამა.

პრეზიდენტის შეფასებით, საქართველოში შეინიშნება ნარკომანიის შემცირების ტენდენცია. ამ თემაზე საუბრისას მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ იგი მხარს ვერ დაუჭერს არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ინიცირებულ კანონპროექტს, რომელიც ნარკოტიკების გამსალელებლისადმი ზედმეტი ლოიალობით გამოირჩევა.

პრეზიდენტმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის აქტუალობაზე. "პარლამენტში შესვლის უმოკლესი გზა არ არის ღობეზე გადაძრომა", - განაცხადა სააკაშვილმა და დასძინა, რომ საზოგადოებრივი წესრიგის დამყარება ხელისუფალთა პირად ინტერესებში კი არ შედის, არამედ ხალხის, მოქალაქეების უფლებების დაცვას ისახავს მიზნად.

როგორც სააკაშვილმა განაცხადა, რუსეთი ზოგიერთ ოპოზიციონერს ქვეყანაში სიტუაციის არევის უკვეთავს და სანაცვლოდ, "სანავით", ფინანსებით ამარაგებს. პრეზიდენტის განცხადებით, ასეთი რამ აუცილებლად უნდა დაჯარიმდეს". სააკაშვილი არ იზიარებს "ოპოზიციის მხრიდან წამოყენებულ ბრალდებებს" იმის თაობაზე, რომ მისი ხელისუფლება ოპონენტების მიმართ რეპრესიულ პოლიტიკას ატარებს. "ჩვენმა სახელმწიფომ

მოახდინა სასწაული ძალის არგამოყენების მეშვეობით", - დასძინა პრეზიდენტმა.

მიხეილ სააკაშვილის აზრით, ქუჩის პოლიტიკას მომავალი არ აქვს: "ჩვენ უნდა გადავიდეთ ცივილიზებული დიალოგის რეჟიმში!"

პრეზიდენტმა სიამაყით განაცხადა, რომ საქართველოში კრიმინოგენული ვითარება მკვეთრად გაუმჯობესდა: "დანაშაული სამჯერ შემცირდა ჩვენს ქვეყანაში. მანქანის გამტაცებლები ციხეში სხედან ასე რომ ხელები შორს ქართული პოლიციისგან და იმ ადამიანებისგან, რომლებიც სახელმწიფოებრივ წესრიგს იცავენ. ჩვენი მთავარი ამოცანაა ადამიანის უფლებების დაცვა საქართველოში".

პრეზიდენტმა არ გაიზიარა ოპონენტთა გამოხვეობის ის ნაწილი, რომელიც რუსეთთან ურთიერთობას ეხებოდა. როგორც სააკაშვილმა ბრძანა, იგი არ აპირებს "რუსეთის დამცველებთან" კამათს; პასუხს პირდაპირ მათ "მამა მარჩენალს" - რუსეთის სახელმწიფოს გასცემს.

სააკაშვილის განცხადებით, რუსეთმა მილიონები დახარჯა იმისათვის, რათა საქართველოს წინააღმდეგ შავი პიარი ეწარმოებინა და ყველა დაერწმუნებინა, რომ 2008 წლის აგვისტოში მას საქართველო დაესხა თავს. როგორც გუშინ საქართველოს პრეზიდენტმა განაცხადა, ეს ზღაპრები რუსეთის შიგნითაც კი არავის სჯერა, საერთაშორისო საზოგადოების დარწმუნებაზე საუბარიც კი ზედმეტია.

პრეზიდენტის თქმით, იგი ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ცდილობდა რუსეთთან ურთიერთობის მოგვარებას, მაგრამ მისმა მოწოდებამ შედეგი ვერ გამოიღო: "მათ უნდოდათ წარუმატებელი ვყოფილიყავით, მათ სურდათ მარცხი განგვეცადა ქვეყნის შიგნით და შემდეგ რუსეთს ჩავბარებდით."

მიხეილ სააკაშვილმა საზოგადოებას განუმარტა, რომ რუსეთთან ურთიერთობის გამწვავება გამოიწვია არა "პირადმა შეურაცხყოფამ", არამედ საქართველოს ხელისუფლების პრინციპულმა პოზიციამ - რუსეთისთვის "ბაბაია" არ დაეძახა.

პრეზიდენტმა თავისი გამოსვლის დასასრულს იმედი გამოთქვა, რომ საბოლოო ჯამში ის მოახერხებს საერთო ენის გამონახვას თანამემამულეებთან, ოპონენტებთან ქვეყნის შიგნით და საერთო ძალისხმევით, ქართული სახელმწიფოს მშენებლობა წარმატებით გაგრძელდება.

გუშინ გამართული პოლიტიკური დებატების დროს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მიერ გამოთქმული ინიციატივების შესახებ პარლამენტის თავმჯდომარე უახლოეს დღეებში ხელისუფლებისა და ოპოზიციის წარმომადგენლებთან კონსულტაციებს გამართავს.

პირველი გვირგვინი

ძალიან კარგად ერკვევა უკრაინაში შექმნილ სიტუაციაში და აშშ-ს ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი პოლიტიკოსია.

"ჩვენთვის მთავარია, დავრწმუნდეთ, რომ ამერიკა-რუსეთის ურთიერთობების "გადატვირთვა" უკრაინის ინტერესების ხარჯზე არ ხდება," - აღნიშნა ზლენკომ.

თბილისს ჯოზეფ ბაიდენი 22 ივლისს, 18:00 საათისთვის, საკმაოდ წარმომადგენლობითი დელეგაციით ეწევა. ამის შესახებ გუშინ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ დავით ჯალალანიამ გა-

ნაცხადა. კერძოდ, დელეგაციის შემადგენლობაში აშშ-ს სახელმწიფო ადმინისტრაციის, სავაჭრო და სახელმწიფო უშიშროების საბჭოების მაღალჩინოსნები შედიან.

ჯალალანიას თქმით, ვიზიტის ფარგლებში აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტი "მნიშვნელოვანი" სიტყვით გამოვა საქართველოს პარლამენტში.

აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტი საქართველოს პრეზიდენტს, აღმასრულებელი ხელისუფლების რიგ წარმომადგენლებს და ოპოზიციის ლიდერებსაც შეხვდება. ჯალალანიას თქმით, ქართულ მხარეს უკვე მომზადებული აქვს "მრავლისმომცველი პაკეტი", რომელშიც ამერიკელ

სტუმრებთან სასაუბრო საკითხებია თავმოყრილი.

"ამერიკულ წყაროებზე დაყრდნობით, შეგვიძლია დავადასტუროთ, რომ ჯოზეფ ბაიდენი, პრეზიდენტისა და აღმასრულებელი ხელისუფლების გარდა, არასაპარლამენტო ოპოზიციასაც შეხვდება, თუმცა, რომელ ლიდერებს, ეს თავად სტუმრის არჩევანის საკითხია," - განმარტა დავით ჯალალანიამ.

როგორც მანამდე საინფორმაციო სააგენტოები იუწყებოდნენ, აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტს დაგეგმილი აქვს შეხვედრა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებ-

თან, ასევე ოპოზიციის ლიდერებთან ირაკლი ალასანიასა და ნინო ბურჯანაძესთან.

აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტის თანაშემწის დავიდმილი აქვს ოფიციალური ვახშამი საქართველოს პრეზიდენტთან, რის შემდეგაც სააკაშვილი და ბაიდენი კონცერტს დაესწრებიან.

"პარლამენტის ღირებულების ხაზგასმად" შეაფასა გუშინ დავით ბაქრაძემ ბაიდენის დავეგმილი გამოსვლა საქართველოს საკანონმდებლო ორგანოში. როგორც პარლამენტის თავმჯდომარემ განაცხადა, ბაიდენის პარლამენტში სტუმრობისას იგეგმება შეხვედრები პარლა-

მენტის თავმჯდომარესა და დეპუტატებთან და გამოსვლა რიგგარეშე სხდომაზე.

დავით ბაქრაძის თქმით, ბაიდენის სიტყვა "კარგი საშუალება იქნება, რომ საზოგადოებამ ღია ეთერში მოისმინოს საქართველოსადმი ამერიკის ახალი ადმინისტრაციის დამოკიდებულების, მხარდაჭერის შესახებ".

გუშინ ასევე ცნობილი გახდა, რომ "დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოს" ლიდერი ნინო ბურჯანაძე აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტის საქართველოში ჩამოსვლის გამო ამერიკაში ვიზიტს წყვეტს და თბილისში ბრუნდება.

ბაიდენის უკრაინულ-ქართული მისია

ინდოეთის სამხრეთში წყალდიდობის შედეგად 130 ადამიანი დაიღუპა

მარიკა იაჰვილი

წყალდიდობას, რომელმაც ინდოეთის სამხრეთ შტატების - კერალასა და ორისას რამდენიმე რაიონი მოიცვა, 130-ზე მეტი ადამიანი ემსხვერპლა. ასეთია ოფიციალური მონაცემები, რომლებიც ქვეყნის სამთავრობო უწყებებმა ორშაბათს გამოაქვეყნეს. 25 მაისს მუსონური წვიმების სეზონის დაწყების შემდეგ მხოლოდ კერალას შტატში 95 ადამიანი გარდაიცვალა, ხოლო 24 ათასზე მეტი იძულებული გახდა, საცხოვრებელი მიეტოვებინა და 340 კარვისგან შემდგარ ბანაკში გადასახლებულიყო. წყალმა 8700 ჰექტარი სასოფლო-

სამეურნეო დანიშნულების მიწა დაფარა. ნათესების უდიდესი ნაწილი განადგურდა. წყლის ნაკადმა 600-ზე მეტი საცხოვრებელი სახლი სრულიად დაანგრია, ხოლო 13,5 ათასი ნაწილობრივ არის დაზარალებული და რემონტს საჭიროებს. ქვეყნის ხელისუფლება სტიქიის მიერ მიყენებულ მატერიალურ ზარალს 2,25 მილიარდ რუპიად, დაახლოებით, 47 მილიონ აშშ დოლარად აფასებს. დაზარალებულ ოჯახებს მთავრობა ორი კვირის სამყოფი პროდუქტით უზრუნველყოფას დაჰპირდა. ამასთანავე ორისას შტატში გარდაცვლილთა, მათ შორის მეხის ჩამოვარდნის შედეგად დაღუპულ-

თა და ნანგრევებში მოყოლილთა როდენობამ მხოლოდ ბოლო ერთი კვირის განმავლობაში 40-ზე მეტი შეადგინა. ბევრი დასახლებული პუნქტი გარესამყაროს მოწყვეტილი აღმოჩნდა. მთელ რიგ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ოლქებში დაზარეულია საავტომობილო გზები, განწყვეტილია კავშირგაბმულობა და ელექტროგაყვანილობები. გასული ორი დღის განმავლობაში გადაუღებელმა წვიმებმა ვითარება კიდევ უფრო დაამძიმა. ინდოეთის გარდა, წყალდიდობა ემუქრება ჩრდილოეთ კორეის ტერიტორიის დიდ ნაწილსაც. უკანასკნელი ორი დღის განმავლობაში 28.7 სანტიმეტრის ნალექი მოვიდა ქვეყ-

ნის სამხრეთ რაიონებში, დედაქალაქ ფხენიანში კი ნალექის დონემ 23 სანტიმეტრს გადააჭარბა. თუმცა კორეის ხელისუფლება სტიქიის მიერ მიყენებული ზარალის შესახებ ინფორმაციას არ აქვეყნებს. ამავე დროს სამხრეთ კორეელი ექსპერტების ვარაუდით, არ არის გამორიცხული გადაუღებელმა წვიმებმა ჩრდილოეთ კორეაში 2007 წლის ტრაგედიის განმეორება გამოიწვიოს. ორი წლის წინ სტიქიური უბედურების შედეგად ჩრდილოეთ კორეაში 600 ადამიანი გარდაიცვალა ან ზეზო-უკვლოდ დაიკარგა, ხოლო დაახლოებით 100 ათასი თავშესაფრის გარეშე დარჩა. შედეგად ქვეყანაში სასოფლო სამეურნეო მოსავლის მიღების დო-

ნემ 11 პროცენტით დაიკლო, რამაც ფხენიანი აიძულა, დახმარებისთვის სხვა ქვეყნებისთვის მიემართა. წყალდიდობების პარალელურად, ჩრდილოეთ კორეის ზოგიერთ რაიონში გვალვაც გაძლიერდა, რაც ტყეების ფართობის მნიშვნელოვნად შემცირებისა და ირიგაციის მოძველებული სისტემის შედეგია. 1990-იან წლებში ამან ქვეყანაში საკვები პროდუქტის სერიოზული დეფიციტი გამოიწვია, რის გამოც, უცხოური წყაროების ცნობით, ქვეყანაში ორი მილიონი ადამიანი გარდაიცვალა. ამ ციფრების დადასტურება ან უარყოფა შეუძლებელია, რადგან ჩრდილოეთი კორეა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე "ჩაკეტილი" ქვეყანაა.

ვინ გაიზიარებს აჰმადინიჰადის გამოცდილებას?

ამერიკის შეერთებულ შტატებში სერიოზულად არიან შემფოთებულნი იმით, რომ ცოტა ხნის წინათ ირანში ჩატარებული არჩევნების შემდგომმა მოვლენებმა შეიძლება პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებზე იქონიოს გავლენა. ვაშინგტონში ეუთო-ს ჰელსინკის კომისიის ინიციატივით შეკრებილმა ექსპერტებმა განიხილეს, თუ ვინ შეიძლება გაიმეოროს დსთ-ში ირანული გამოცდილება და ამან რა შედეგები შეიძლება მოიტანოს. ირანში არჩევნების შემდგომი მღელვარების პერიოდში დასავლეთში დიდი იყო იმის იმედი, რომ მოხდებოდა მეორე რევოლუცია, და ამას ამერიკის დედაქალაქში არც მაღალე, რომელიც ქვეყნის ისეთივე ღრმა ტრანსფორმაციას გამოიწვევდა, როგორც ეს 1979 წლის ისლამური რევოლუციის დროს მოხდა. იმედები არ გამართლდა (როგორც ვაშინგტონში აღნიშნავენ - ჯერჯერობით), მაგრამ ამ მოვლენებმა საფიქრალი გაუჩინა დემოკრატიულ დასავლეთსაც და ირანის არადემოკრატიულ მეზობლებსაც, ისევე როგორც ირანის რეჟიმის ყველა გულშემმატივარს. ანალიტიკოსების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ირანში დემონსტრაციების დარბევით, პირველ რიგში, კმაყოფილი დარჩა ფერადი რევოლუციების მოწინააღმდეგე დიქტატორთა კლუბი. ეს არაოფიციალური ფორმულირება არადემოკრატიული ბანაკის სახელმწიფოების დასახასიათებლად გამოიყენება. გერმანიის მარშალის ფონდის წამყვანი სპეციალისტი დევიდ კრემერი მიიჩნევს, რომ ირანი ორგანულად ჩაჯდა დიდი ხნის ნაცნობ სცენარში, რომელიც გულისხმობს გაუმჭვირვალე არჩევნების ჩატარებას და შემდეგ ხელისუფლების მკაცრ პასუხს ამ შედეგების გამპოტესტების მცდელობაზე. "ის, რასაც ჩვენ ირანში ბოლო თვის განმავლობაში ვხედავთ, ახალი გამოგონილი არ არის, - აღნიშნავს კრემერი. - ეს სხვადასხვა დროს მთელ მსოფლიოში ხდებოდა და ალბათ ოდესღაც ეუთო-ს წევრ ქვეყნებშიც. მიმართა, რომ ირანის მაგალითი გავლენას მოახდენს ავტორიტარულ რეჟიმებზე. იქ გაძლიერდება ტერმინები, ჩაახშონ თავისუფალი აზროვნების გამოვლინების ნებისმიერი მცდელობა, რათა სტატუს კვო შეინარჩუნონ."

ასეთი რეჟიმები, ამერიკელი ექსპერტების აზრით, დსთ-ს ქვეყნების უმრავლესობაშია. "ფრიდომ ჰაუსის" ხელმძღვანელმა ჯენიფერ უინძორმა რუსეთის მაგალითი მოიყვანა. მისი აზრით, რუსეთი ირანის თანამოაზრეა სახალხო ნების გამოვლენაზე ზეგავლენის მექანიზმების გამოყენებაში. "ყურადღაღებია, რომ არჩევნების



შემდეგ (რომლის შედეგებიც დღემდე საჩქვია) ირანის პრეზიდენტ აჰმადინეჰადის პირველი ვიზიტი რუსეთში შედგა, სადაც ის გულთბილად მიიღეს, - აღნიშნავს უინძორი. - რუსეთის ფედერაცია ბოლო დროს საერთოდ ლიდერია დემოკრატიის ნიველირების მცდელობებში, როგორც თავის ტერიტორიაზე, ასევე უცხოეთში. ვაშინგტონში ფიქრობენ, რომ მოსკოვი თავის მისიად მიიჩნევს, სადაც კი ხელი მიუწვდება არსად არ დაუშვას ფერადი რევოლუცია, რათა საფუძველშივე ჩაახშოს მოვლენების ასეთი განვითარების შესაძლებლობა რუსეთში. ანალიტიკოსები რუსეთში ირანის სცენარის მსგავსის განმეორებას არარეალურად მიიჩნევენ, მაგრამ არ გამორიცხავენ, რომ ირანის ექვმ ხმამაღლა შეიძლება გაიჟღეროს რუსეთის მეზობელ ქვეყნებში."

ირანული კონტექსტიდან გამომდინარე, ამჟამად ვაშინგტონელი პოლიტიკოსების უმრავლესობა ყურადღებით აკვირდება ყირგიზეთს, სადაც 23 ივლისს საპრეზიდენტო არჩევნები უნდა შედგეს და მოლდოვას, სადაც 29 ივლისს პარლამენტის განმეორებითი არჩევნებია დანიშნული. დევიდ კრემერი ფიქრობს, რომ ორივე შემთხვევაში შემფოთების საბაზი არსებობს. "არა გვგონია, რომ ირანში მომხდარი განმეორდება, მაგრამ პრობლემები ნამდვილად იქნება.

ყირგიზეთში ჩვენ უკვე ვხედავთ სახიფათო ნიშნებს - ყურნალისტების და ოპოზიციონერების დაღუპვა გაუკვეველ გარემოებებში, რადიოსადგურ "თავისუფლების" მაუწყებლობის შეწყვეტა, - აცხადებს კრემერი. "მოუხედავად იმისა, რომ ჩვენ დაინტერესებულნი ვართ ამ ქვეყანაში ამერიკული სამხედრო ბაზის შენარჩუნებით, კარგად უნდა გავაგებინოთ ამ ქვეყნის მთავრობას, რომ მომავალი არჩევნები სერიოზული ტესტი იქნება დემოკრატიაზე და თუ მას ვერ გაივლის, ამერიკის და ყირგიზეთის ურთიერთობა შეიძლება გაფუჭდეს," - აღნიშნავს პოლიტოლოგი. მსგავსი სიტუაციაა მოლდოვაში. შეერთებული შტატები მოუწოდებს ხელისუფლებას, ჩაატაროს გამჭვირვალე არჩევნები და აგრესიის გარეშე მოეციდოს შესაძლო პროტესტს. ვაშინგტონის სტრატეგიული კვლევების ინსტიტუტის პოლიტიკურ მეცნიერებთან დოქტორი სტივენ ბლენკი, აფასებს რა კომინიოვის მოვლენებს აპრილის არჩევნების შემდეგ, მოლდოვას ირანთან ერთ რიგში აყენებს. "ირანის, ისევე როგორც მოლდოვის მაგალითმა აჩვენა ამჟამინდელი მმართველების ხელისუფლების ფუნდამენტური სისუსტე და არალეგიტიმურობა," - აცხადებს ბლენკი. ვაშინგტონელი სპეციალისტების

აზრით, ირანის მაგალითი შეიძლება პოტენციურად გადამდები აღმოჩნდეს ყაზახეთისა და აზერბაიჯანისთვის. ამ ქვეყნებში შემაშფოთებელ ტენდენციებზე მსჯელობისას პოლიტოლოგები იხსენებენ ყაზახეთის პრეზიდენტ ნაზარბაევის მიერ ხელმოწერილ კანონს ინტერნეტის კონტროლის შესახებ და აზერბაიჯანის პრეზიდენტ ალიევის მიდრეკილებას სიკვდილამდე ქვეყნის მართვისკენ. "ირანის მოვლენების შემდეგ ყაზახეთის ხელისუფლება, უბრალოდ, პანიკაში ჩავარდა და სწორედ ამან აიძულა, მიეღო კანონი ინტერნეტზე, რომელიც უფრო დრაკონულია, ვიდრე ანალოგიური კანონი რუსეთში. ეს ქმნის სიტყვის თავისუფლების პირდაპირი შეზღუდვის (ჩახშობის) პრეცედენტს შუა აზიაში და სილის განვინის ტოლფასია საერთაშორისო თანამეგობრობისთვის, მით უმეტეს, იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ ყაზახეთმა ვალდებულება აიღო, უფრო ლიბერალური გაეხადა კანონმდებლობა მასობრივი ინფორმაციის საშუალებების სფეროში," - აღნიშნავს სტივენ ბლენკი. არჩევნების შემდგომი პროტესტის დროს ირანის ხელისუფლებამ შეერთებული შტატები უნესრიგობების ორგანიზებასა და ქვეყნის საშინაო საქმეში ჩარევაში დაადანაშაულა. ამერიკაში კი, თავის მხრივ, ბარაკ ობამა გაკიცხეს, რადგან მან თიერან-

ში დემონსტრანტების წინააღმდეგ ძალის გამოყენებაზე დაგვიანებით გამოხატა რეაქცია. ახლა ექსპერტები ბარაკ ობამას მოუწოდებენ, არ გაიმეოროს შეცდომები და იქ, სადაც ეს შესაძლებელია, არ დაუშვას ირანული სცენარის განმეორება. ჯენიფერ უინძორი მიიჩნევს, რომ ეს განსაკუთრებით აქტუალურია ამერიკისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების ურთიერთობებში. "შეერთებულ შტატებს და დასავლეთის სხვა სახელმწიფოებს ბოლო დროს ცენტრალურ აზიაში დემოკრატიული განვითარებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ინტერესები ხშირად სხვა ინტერესების მსხვერპლად მიჰქონდათ. ვფიქრობ, რომ პერსპექტივაში ასეთი სტრატეგია წარმატებული ვერ იქნება," - აცხადებს უინძორი. "უდავოა, რომ ამერიკას აქვს მოკლევადიანი ინტერესი, რომელიც დაკავშირებულია გაჭრობასა და ავღანეთში იარაღის მინოდებასთან. მაგრამ თუ ჩვენ არ შევეწინააღმდეგებით ადამიანის უფლებების სფეროში სიტუაციის სწრაფ გაუარესებას ყირგიზეთში, ყაზახეთსა (რომელიც საერთოდ ეუთო-ს ყველა პრინციპის დაცვის მაგალითი უნდა იყოს და ამის მაგივრად ყველა ნორმას არღვევს) და უზბეკეთში, ამას შეუძლია არცთუ შორეულ მომავალში ამერიკის უარყოფილი უსაფრთხოებისთვის უარყოფითი შედეგები იქონიოს," - გვაფრთხილებს უინძორი. ექსპერტების აზრით, რუსეთთან მიმართებაშიც ანალოგიური სიტუაციაა. სტივენ ბლენკი ფიქრობს, რომ მოსკოვი ბოლო დროს იყენებს ვაშინგტონის შეცდომებს, რათა აღებული საერთაშორისო ვალდებულებები არ შეასრულოს. "მოსკოვმა ხელი მოაწერა ჰელსინკის ხელშეკრულებას. ჩვენ გვაქვს სრული უფლება, გავაკონტროლოთ რუსეთის მიერ ამ ხელშეკრულების შესრულება, ისევე როგორც მოსკოვს აქვს უფლება, ჩვენ გვაკონტროლოს. როცა ჩვენ გვადასაშუალებებს ადამიანის უფლებათა დარღვევაში გუანტანამოს ბაზაზე, ამას ღიად და მთელი მსოფლიოს გასაგონად აკეთებენ. ამიტომ არც ჩვენ უნდა ვორჭოვოდდეთ, ხმის მიცემის შედეგების გაყალბებისა ან სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის გამო ამა თუ იმ რეჟიმისთვის პასუხის მოთხოვნის აუცილებლობა ჩნდება," - ამბობს ბლენკი. ამერიკაში ჯერ კიდევ აქეთ იმედი, რომ ირანულ საგას კარგი დაბოლოება ექნება. ჯერჯერობით კი ამერიკელი პოლიტიკოსები მიიჩნევენ, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში ირანის სცენარის ბესტსელურად გადაქცევა არ უნდა დაუშვან. "ბი-ბი-სი"-ს მიხედვით მოამზადა ივა შილაკაძე

ვაკის საცურაო აუზი და ფიტნეს კლუბი
გთავაზობთ
საზაფხულო აქციას
1 ივლისიდან



მხოლოდ ერთი თვე
სამაჯური ღირებულების გარეშე!
**ONLY ONE MONTH
BRASLET WITHOUT DEPOSIT**



ტელ: 25 25 75
ი. ჭავჭავაძის გამზირი №49^ა

**დავით ტატიშვილის
სამედიცინო ცენტრის
მანუალური თერაპიის
და სამკურნალო
მასაჟის სპეციალისტი
ირაკლი ძიძიგური**

გთავაზობთ:

ყველა ასაკის პაციენტთათვის - დისკო-
ზის, ოსტეოქონდროზის, სქოლიოზის, ართ-
როზის მკურნალობას, ოპერაციის და ტრავ-
მის შემდგომ რეაბილიტაციას თანამედროვე
აპარატურისა და ტექნოლოგიების გამოყე-
ნებით.

მის.: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენ-

ტრი

თბილისი, თენგიზ აბულაძის 20

(ვაკე, „სამების“ ეკლესიის უკან)

ტელ.: 91 31 19; 91 32 42; (899) 222 912;

**თვალის
მიკროქირურგიის
ჯ ა ვ რ ი შ ვ ი ლ ი ს
კლინიკა „ოფთალმიჯი“**

ს ი ა ს ლ ე

ოფთალმოქირურგიული ტექნიკის
უკანასკნელი მიღწევა -
ფაკოემულსიფიკატორი **"INFINITI"**
კატარაქტის უნაკერო ქირურგიის
ახალი ერა საქართველოში

რეკონსტრუქციის განაკვეთი მხოლოდ 2.2 მმ!!!

ტელეფონი: 30 53 53; 30 10 80

ს ი ა ს ლ ე ! დ ა ს ვ ე ნ ე ბ ა 50 ლ ა რ ა დ !

**გაზაფხულის სასტუმრო კომპლექსში
საუკეთესო ფასად, ღამისთავის გარეშე,
მთელი დღის განმავლობაში შეგიძლიათ
დაისვენოთ, გაართოთ და მიიღოთ შედეგი
სახის მომსახურება:**

- ერთჯერადი კეება (მსუბუქი ლანჩი)
- პლაჟი (ქოლგა, შეზლონგი)
- ღია აუზი (ქოლგა, შეზლონგი)
- წყლის ველოსიპედები, იალქნიანი და გასაბერი ნავეები
- სპორტული მოედნები (პლაჟის ფრენბურთი, ჩოგბურთის კორტი)
- საბავშვო ატრაქციონები
- უფასო ავტოსადგომი
- 6 წლამდე ბავშვებისთვის უფასოდ
- ბავშვები 6-დან 12 წლამდე 50% ფასდაკლებით.

ეს ყველაფერი მხოლოდ 50 ლარად!



ღამათაგანითი ინფორმაციისთვის ღარაკეთ: 44 99 77 (შიდა: 30-01 ან 30-02)

ბასა ჯანიკაშვილის სპეტი



ინტერვიუ 31

ვისი სია სურს?

ჩვენი სტუმარია პარლამენტის მეცხრე ვიცესპიკერი საპარლამენტო ოპოზიციის არშემდგარი წარმომადგენელი გულნარა არდაგითმე. ქალბატონი გულნარა ცნობილია მისი მკვეთრი გამოსვლებითა და მაღალფარდოვანი, შინაარსიანი აზრებით. გუშინ, პარლამენტში გამართულ დებატებზე ქალბატონი გულნარა არდაგითმე ახალი ინიციატივით გამოვიდა, რასაც სამარისებური დუმილი მოჰყვა.

ბასა ჯანიკაშვილი - ქალბატონო გულნარა არდაგითმე, გუშინ პარლამენტში თქვენი გამოსვლა სიჩუმით აღინიშნა. ელოდით ასეთ რეაქციას?

გულნარა არდაგითმე - ჩვენი პარლამენტისგან მე ყველაფერს ველოდები უკვე. არადა, რა ვთქვი ახლა ისეთი? გავიდეს რუსეთის აგრესორი ჯარი ჩვენი ტერიტორიიდან და დავიბრუნოთ დაკარგული ტერიტორიები-თქო. შეიძლება ამ საკითხებზე დუმილი?!

ბ.ჯ. - მგონი, თქვენ, როგორც ოპოზიციის სიიდან გასულ დეპუტატს მეტი კონკრეტუა გმართებდათ. ტერიტორიების დაბრუნება ხელისუფლების თავსატეხვარია - ყოველ შემთხვევაში ამას ამბობს ოპოზიცია.

გ.ა. - მერე, მეც ხელისუფლების მხარეს არ ვარ? ოპოზიციის სიიდან კი ვარ, მაგრამ გუშინ პრეზიდენტის მოსმენისას საბოლოოდ გადმოვედი უმრავლესობის მხარეს.

ბ.ჯ. - ისე, ეგ ტენდენცია ადრეც შემინიშნავს. რას გამოჰყოფდით პრეზიდენტის გამოსვლიდან?

გ.ა. - რას და არჩევნებს, რომელიც გაზაფხულზე უნდა გაიმართოს. ასეა, ჯერ მერის არჩევნები უნდა მოვიგოთ და შემდეგ საპარლამენტო და ბოლოს საპრეზიდენტო.

ბ.ჯ. - უკაცრავად, მაგრამ "მოვიგოთ" რას გულისხმობთ?

გ.ა. - ასევე, ცხადია, რომ საარჩევნო კომისია ახალი იქნება და მედიაც გათავისუფლდება.

ბ.ჯ. - თქვენ "მაესტროს" და "კავკასიის" სატელე-ტური ლიცენზიის მინიჭებაზე საუბრობთ?

გ.ა. - რა თქმა უნდა.

ბ.ჯ. - ის ალბათ გესმით, რომ სატელეტური მაუწყებლობა არ ნიშნავს იმას, რომ მოსახლეობა ამ არხებს ანტენით დაიჭერს. თუმცა დავანებოთ ამას თავი.

გ.ა. - და კიდევ გიკვირთ რატომ ვარ ხელისუფლების მხარეს? და თქვენ დაგავიწყდათ სასამართლო რეფორმა, როდესაც გამკაცრდება მოსამართლეს კონტროლი სახელმწიფო ჩინოვნიკებისაგან. ახალი კანონი შემოვა და თითო ზარზე დაიჭერენ ჩინოვნიკებს.

ბ.ჯ. - ამას არ სჯობია ნაფიცი მსაჯულების ინსტიტუტი შემოვიდეს?

გ.ა. - ეგეც იქნება. ყველაფერი ერთბაშად არ ხდება.

ბ.ჯ. - მე მეუბნებით ამას? თქვენ არ იყავით რადიკალური განცხადებებით რომ გამოდიოდით?

გ.ა. - გამოვიდი. არ ვუარყოფ, მაგრამ როდესაც პარლამენტში შემოვედი აქიდან სულ სხვაგვარად გამოჩნდა ქვეყნის აშენების საკითხები. ამიტომ ვუერთდები პრეზიდენტის ინიციატივას და ვთხოვ ჩემს ყოფილ თანამებრძოლებს, შემოვიდნენ პარლამენტში. ჩაებან მუშაობაში და საკნებიდან პარლამენტში გადაინაცვლონ.

ბ.ჯ. - რა შეიცვალა?

გ.ა. - თავად პრეზიდენტი შეიცვალა ბატონო ბასა. არ იყო ასეთი. ჩვენ რომ ვიბრძოდით ქუჩაში ამან შედეგი გამოიღო და აი, გუშინ კიდევ მოვისმინეთ, რომ დემოკრატიის ახალი ტალღა ახალ ინიციატივებს ნიშნავს. ეს არის შედეგი იმ ბრძოლის, როდესაც მთელი გაზაფხული და ზაფხული ხალხი ქუჩაში იდგა.

ბ.ჯ. - და თქვენ მაინც ჯიუტად პარლამენტში იჯექით.

გ.ა. - მართალია, შეცდომები ყველას მოსდის. რა, ოპოზიცია არ ცდება? ამიტომ დავსხდეთ ყველანი ერთად და მოვიგოთ არჩევნები.

ბ.ჯ. - ნუ მაბნევთ ქალბატონო გულნარა არდაგითმე. ვისი სიით აპირებთ მოგებას? ოპოზიციის თუ ხელისუფლების?

გ.ა. - მაგას რა მნიშვნელობა აქვს?

ბ.ჯ. - პრინციპში მართალია. რა მნიშვნელობა აქვს ვისი სიით ხარ გასული.

ბათუმის ბრაზილიური დღე

შავი ზღვის ჯაზფესტივალი აირტო მორეირამ და ფლორა პურიმმა გახსნეს

იან ვაქაშა

მკითხეთ, რომელია ყველაზე ცხელი წერტილი შავი ზღვის სანაპიროზე და გიპასუხებთ, რომ ეს, რა თქმა უნდა, ბათუმია. არა მხოლოდ იმიტომ, რომ აქ საკურორტო სეზონი გახურების ზღვარზეა და არც იმიტომ, რომ მზე ჩვეულად მცხუნვარეა, არამედ იმიტომ, რომ შავი ზღვის ჯაზფესტივალი დაიწყო - მუსიკალური მოვლენა, რომელსაც ყოველთვის ახლავს განსაკუთრებული განწყობა და დაინტერესება და რომელიც უკვე დაარსებიდან მესამე წელს თამამად იმსახურებს წლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენის წოდებას.

ტრადიციულად წლევედელი ფესტივალის აფიშაშიც დიდი ხნის წინ ლეგენდებად შეირაცხული მუსიკოსების სახელების ამოკითხვა შეიძლება, მათ შორის არიან გაცილებით ახალგაზრდა, შესაბამისად თანამედროვე შემსრულებლებიც. თუმცა წლევედელი ფესტივალის სტუმრებს პირველივე ლუკმად გემრიელი ნაჭერი შეახვედრეს. სცენაზე ლეგენდარული ბრაზილიელი მუსიკოსები აირტო მორეირა და ფლორა პურიმი იდგნენ.

მანამდე კი მსმენელის "გახურებაზე" სხვა მუსიკოსებმა იზრუნეს. დავით მაზანაშვილის, ნოდარ ექვთიმიშვილისა და გიორგი სალაღიშვილის ტრიომ შესანიშნავი განწყობა მოიტანა. შეიქმნა შთაბეჭდილება, თითქოს ეს გამოსვლა დრამერ გიორგი სალაღიშვილისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო. ვინც ბათუმის ჯაზფესტივალს შარშანწინაც ესწრებოდა, ალბათ ახსოვს მისი გამოსვლა Parov Stellar & Band-ის შემდეგ, როდესაც უცხოელი მუსიკოსების კონცერტისგან დალლილმა



ფლორა პურიმი.

მსმენელმა ვეღარ შეძლო სალაღიშვილის Dr. George s Saga-ს მუსიკის ჯეროვნად შეფასება და დაფასება. ამჯერად კი ქართულმა ბენდმა შესანიშნავი პროგრამა შემოგვთავაზა შესანიშნავი მუზიკირებით.

ქართველების მიერ შემოგებული მუხტის შენარჩუნება ვერ შეძლო ავსტრიულ-უნგრულ-სლოვენური Alpen Adria Jazz Ensemble-მ. ჯგუფმა რამდენიმე კლასიკურ საფუძველზე აგებული კომპოზიცია შემოგვთავაზა, სადაც მუსიკოსების მაღალი სამშემსრულებლო კლასის გარდა ალბათ ბევრი ვერაფერი იყო დასამახსოვრებელი. თუმცა შედარებით ცივი ემოცია ალბათ ისევ და ისევ იმის ბრალი იყო, რომ წინ საღამოს ვარსკვლავების, აირტო მორეირასა და ფლორა

პურიმის გამოსვლა გველოდა.

...წარმოიდგინეთ ამაზონის ჯუნგლების ათასწლოვანი ხეების ჯარი, სიმწვანეში ჩაფლული სამყარო, რომლის სიმშვიდესაც დროდადრო თუ დაარღვევს რომელიმე ცხოველის გამხეცებული ღრიალი ან ფრინველთა ფრთების შხუილი. და სწორედ მაშინ, როდესაც იქურობა მთლიანად ირინდება ტყის სიღრმიდან ჯადოსნური რიტუალისთვის მომზადებული შამანის სიმღერა ისმის... სწორედ ასეთი განწყობა შეიქმნა, როდესაც აირტო მორეირამ პირველი აკორდები აიღო და თავისი დამახასიათებელი ვოკალი თითქოს თავზე გადმოგვაფრქვია.

მეორე კომპოზიციად სცენაზე ჯერ კიდევ კენტად, მხოლოდ მუსიკოსების თანხლებით მდგომმა აირტო მორეირამ ჩიკ

ბაირაითის ფესტივალი და გაფიცვების საფრთხე

ბაირეთში რიჰარდ ვაგნერის მუსიკის მორიგი ფესტივალის გახსნა გაფიცვების საფრთხის ქვეშ აღმოჩნდა: ფესტივალის დირექციამ შრომის ანაზღაურების საკითხში სცენის მუშებთან და ტექნიკურ პერსონალთან კომპრომის ვერ მიაღწია. AFP-ი იტყობინება, რომ მხარეებს შორის მოლაპარაკებები 17 საათს გაგრძელდა, მაგრამ უშედეგოდ დასრულდა.

პროფესიული კავშირების წარმომადგენლები ირწმუნებიან, რომ ბაირეთში მოსამსახურეებს ამ სფეროში საშუალოზე 20 პროცენტით ნაკლებს უხდიან: ისინი საათში 10 ევროზე ნაკლებს იღებენ. თუ ამ ფესტივალის მენეჯერები მათ "მნიშვნელოვნად" უკეთეს პირობებს არ შესთავაზებენ, პროფესიული კავშირების წარმომადგენლები მოლაპარაკებების მაგიდას არ მიუსხდებიან.

წლევედელი ბაირეთის ფესტივალი 25 ივლისს გაიხსნება. მას პირველად უხელმძღვანელებს რიჰარდ ვაგნერის ორი შვილიშვილი - კატარინა ვაგნერი და ევა ვაგნერ-პასკე.



მათი მამა, ვოლფგანგ ვაგნერი ფესტივალს სათავეში 57 წლის განმავლობაში ედგა და თანამდებობა მხოლოდ დირექტორთა საბჭოს ზენოლით დატოვა.

2009 წლის ფესტივალზე არ შედგება პრემიერა: პროგრამაში შეტანილია მხოლოდ გასული წლის დადგმები, მათ შორის: "ტრისტანი და იზოლდა", "ნიუნბერგელი მაისტერზინგერი-

ბი", "პარსიფალი" და "ნიბელუნგების ბეჭედი".

ბაირეთის ფესტივალი საოპერო სამყაროში ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ მოვლენად ითვლება. მასზე დასაწრები ბილეთების რიგში მსურველები წლობით დგანან, ხოლო ფასი 225 ევროს აღწევს.

იმ საკითხზე, თუ ვინ იქნებოდა წლევედელი ვაგნერის

კორეას La Fiesta აირჩია და ამით თითქოს ხარკი გადაუხადა ძველ მეგობარს, რომელთანაც ხანგრძლივი თანამშრომლობა აკავშირებდა. ამის შემდეგ სცენაზე მატრიარქატის ხანა დაიწყო, რომლის მთავარ ქურუმ ფლორა პურიმს აირტო მორეირასთვის უკვე გამყარებული პოზიციები უნდა დაეთმობინებინა. ფლორა პურიმი სწორედ ის მომღერალია, რომლის შესახებაც კრიტიკოსები პოეტურ შეფასებებს არ იშურებენ: "მისი მუსიკა გონებისთვისაა გაკუთვნილი, ექსტრაორდინალური ხმა კი მსმენელის გულისკენაა მიმართული - გახსენით გული მისი მუსიკისთვის". სწორედ ის შემთხვევაა როდესაც ამ სიტყვების ავტორს უბრალოდ უნდა ენდო, რადგან მათი დამამტკიცებელი ყველა საბუთი უკვე ვიხილეთ და ცხადია მოვისმინეთ კიდევ, ხოლო როდესაც აირტო მორეირას შეუწყვილდა, მსმენელი ნამდვილი ვოკალის გაკვეთილების მოწმე გახდა.

ასეთი სამშემსრულებლო კლასის მიზეზი მარტივია და ის მუსიკოსების ბიოგრაფიაში უნდა ვეძებოთ. მას შემდეგ რაც აირტო მორეირა და ფლორა პურიმი ამერიკაში გადავიდნენ, ჰქონდათ შესაძლებლობა ჯაზის სამყაროს ყველაზე მნიშვნელოვან ფიგურებთან ეთანამშრომლათ ჯო ზავინულიდან მაილს დევისის ჩათვლით. მორეირას სოლო პროექტი Weather Report კი დღემდე ჯაზისა და ფიუჟენის ლეგენდად მიიჩნევა.

გუშინ საღამოს კი შავი ზღვის ჯაზფესტივალის მსმენელის წინაშე ფესტივალის განსაკუთრებული ვარსკვლავი მესიო პარკერი და მისი ჯგუფი წარსდგნენ. ამ კონცერტის მოკლე მიმოხილვას "24 საათის" მომდევნო ნომერში შემოგთავაზებთ.

მუსიკის ფესტივალის ხელმძღვანელი, დირექტორთა საბჭომ დიდხანს იფიქრა და საბოლოოდ, არჩევანი კომპოზიტორის შვილიშვილების სასარგებლოდ გააკეთა. კატერინა ვაგნერი 30 წლისაა, ხოლო ევა ვაგნერ-პასკე - 64-ის. დირექტორთა საბჭოს გადაწყვეტილების შესახებ ცნობა France Press-მა გაავრცელა. ეს სააგენტო, რომელიც თავის მხრივ სარწმუნო წყაროს ეყრდნობა, ირწმუნება, რომ ალტერნატიულ კანდიდატებად განიხილებოდნენ ნიკა ვაგნერი (კატარინასა და ევას ბიძაშვილი) და ჟერარ მორტიე პარიზის ოპერის დირექტორი და ნიუ იორკის საქალაქო ოპერის მომავალი დირექტორი.

კატარინა და ევა, მამის მხრიდან, ღვიძლი დები არიან. ვოლფგანგ ვაგნერი ბაირეთის ფესტივალს 1966 წლიდან ხელმძღვანელობს, ანუ იმ დროის შემდეგ, რაც მისი ძმა - ვილანდი გარდაიცვალა. 89 წლის ვოლფგანგმა დირექტორის პოსტი 2008 წლის გაზაფხულზე დატოვა. აღსანიშნავია, რომ ბაირეთში ტრადიციულად ვაგნერის ათი ოპერა სრულდება.

საქართველო

მეცდომები თუ ახალი გზები კულტურაში

სამუსიკო განათლების წყვედა და მისი მომავალი



სოფო კილასონია

რთულია დღეს მოიძებნოს ადამიანი, რომელსაც საქართველოში წამოჭრილ სამუსიკო განათლების პრობლემაზე თავად არ უმსჯელია, ანდა ამ თემაზე კამათი მაინც არ სმენია. საქმე იმაშია, რომ ბოლო წლებში ამ სფეროში მუდმივი რეფორმები და ცვლილებები ხორციელდება. დაფინანსება შეუწყდა სკოლებსა და სასწავლებლებს, რასაც მოჰყვა ამ დაწესებულებათა დახურვა, ანდა მუშაობის მიღება რეჟიმში გაგრძელება. ეს რეჟიმიც ამონერულია და ... პროფესიონალები ამბობენ, რომ ბოლო წლებში კონსერვატორიაში ჩაბარების მსურველების რაოდენობა საგრძნობლად შემცირდა. არის რიგი სპეციალობები, რომელთა დაუფლებაც უმაღლეს სასწავლებელში არავის სურს, საკრავები, რომელზე შემსრულებლებიც სულ უფრო დეფიციტურია. ეს კი იმიტომ, რომ ამ სპეციალობის მართ ინტერესს პატარაობაში ვერსად უღვივებენ. ცხადია იმიტომაც, რომ ქართული კულტურა თავისთვის ბრძოლა. რეგიონებში პროცესები შეწყდა. დედაქალაქის მაცხოვრებლისთვის კი საორკესტრო მუსიკოსის პროფესია დიდად მისაღები არაა. კიდევ ბევრს ამბობენ და რასაც ამბობენ სულაც არ არის მოგონილი და ამის შესახებ ქვემოთ გააგრძელებენ ჩვენი რესპონდენტები, თუმცა ჩემად იმასაც დავამატებთ, რომ უკვე დღეს თითქმის ყველა ორკესტრში ერთი და იგივე მუსიკოსები მუშაობენ. ორი მუსიკალური ცენტრისა და ოპერის თეატრის საორკესტრო რესურსები ცოტათი თუ განსხვავდება, ამ კადრების განახლება კი მეტისმეტად უჭირთ ორკესტრების ხელმძღვანელობას. საორკესტრო პრობლემებს რომ დავანებოთ თავი, სამუსიკო სასწავლებლების (ე.წ. ტექნიკუმები) დახურვით მთლიანად მოიშალა მუსიკის პედაგოგების თაობათა განახლება.

საბოლოო ჯამში ზარალდებიან ისევ და ისევ ჩვენი მოზარდები, რომელთა განათლების სისტემა დღეს მეტისმეტად მყოფა. ჯერჯერობით ყველაზე მეტად მაინც ზოგადად საზოგადოებაა დაზარალებული, რომელსაც სახელოვნებო განათლების ალტერნატიული ფორმა მოზარდებისთვის, რაც მთავარია ხელმისაწვდომი და ხარისხიანი ფორმა აქამდე ვერ შესთავაზეს. "რაში გვჭირდება ამდენი სამუსიკო სკოლა?!" - ეს იყო გარკვეული პოლიტიკის არგუმენტი ან სლოგანი, რომელიც უნებლიედ იქცა იდეად - რაში გვჭირდება ამდენი ზოგადი სახელოვნებო განათლება. არადა აღმოჩნდა რომ გვჭირდება, სამუსიკო სასწავლებლების გარეშე ადამიანებმა ვერ ამოიცნეს საკუთარი ნიჭი და საზოგადოებაში იურისტობა და ეკონომისტობა იდეატივად იქცა. თითქოს არაკომერციული პერსპექტივები და მომავალი არ ყოფნიდა სახელოვნებო მიმართულებებს. ამას გარდა, შესაძლოა სფერო რეფორმას ნამდვილად საჭიროებდა, მაგრამ როცა საზოგადოებრივი ფასეულობები და ახალგაზრდების მისწრაფებები ტოტალურ უგემობნეობასა და კრიმინალს შორის მერ-



სოფო კილასონია

ყვობს, ასეთ დროს სახელოვნებო განათლების პუნქტების მოშლა ნამდვილად არასასიამოვნო რეალობაა. მართალია დღეს ოჯახების უმრავლესობა, განსაკუთრებით ისინი, რომლებიც ფინანსურ გასაჭირს ნაკლებად შეუწუხებიან, საკუთარი პატარებისთვის სხვადასხვა, "ბასტი-ბუბუს" მიბაძვით შექმნილი კერძო წრეებს არჩევენ, მაგრამ ამ თვალსაზრისით ერთის თქმა ნამდვილად შემძლია. ზემოაღნიშნულმა სტუდიამ თუ სხვა მისმა მსგავსმა არა თუ ვერ ჩაანაცვლა კლასიკური მუსიკალური განათლება, არამედ უკვე 90-იანი წლების დასაწყისიდან დადაბლა მოზარდების გემოვნება. პოპკულტურის ნიშნულების მდარე ფონოგრამებზე პირდაღებული პატარების ფსიქიკა-გემოვნების ფორმირებაში დაშვებულმა შეცდომებმა უკვე დღეს იჩინა თავი. იჩინა როგორც მსმენელთა, ისე შემსრულებელთა შორის. ასე რომ, როცა საუბარია მოზარდების განათლებაზე, მით უფრო სახელოვნებო განათლებაზე, ამ თემის მნიშვნელობას ალბათ განსაკუთრებულად უნდა დავუკვირდეთ, რათა პერიოდულად ჩვენი სამოქალაქო საზოგადოების დეზალი კულტურისა და მდარე ფასეულობების საკითხი ისევ ჩვენ არ გაგვიმწვავდეს სამომავლოდ. ეს მომავალი კი ფაქტია, ძალიან მალე დგება...

როცა გიორგი გაბაშვილი კულტურის მინისტრის თანამდებობას ტოვებდა, ჯერ კიდევ მინისტრს ვთხოვეთ დაესახელებინა მის მიერ დაშვებული შეცდომები. "24 საათისთვის" მიცემულ ინტერვიუში ბატონმა გიორგიმ მხოლოდ ერთი რამ აღნიშნა - სამუსიკო სკოლებისთვის საბიუჯეტო დაფინანსების შეწყვეტა, რამაც ამ სკოლების გაუქმება გამოიწვია. თუმცა დასძინა, რომ ეს პრობლემა უახლოეს მომავალში აუცილებლად უნდა დაძლეულიყო. ვიხსენებთ რა ამ "აღიარებას", ვფიქრობ, გაბაშვილი მინისტრის თანამდებობაზე კიდევ რომ დარჩენილიყო, ეს შეცდომა ბევრად მალე იქნებოდა გამოსწორებული. ასევე ვფიქრობ, რომ ეს შეცდომა საერთოდ არ იქნებოდა დაშვებული მას რომ საკმაოდ ავტორიტეტული მუსიკოსი, პროფესორების დადებითი "რეცენზიები" არ ჰქონოდა დანართად გაგზავნილი. მაგრამ ეს უკვე წარსულია და შეცდომაზე პასუხისმგებლობას

დღეს მხოლოდ ყოფილ მინისტრს აკისრებენ. რუხი კარდინალები ტრადიციულად არ ჩანან...

სამწუხაროდ კულტურის მინისტრის პოსტის მესვეურთა ცვლამ რიგი საკითხები გადაჭრა შეანელა. დღეს მუსიკოსებს ამჟამინდელი მინისტრის, ნიკოლოზ რურუას იმედი აქვთ. ამბობენ, რომ ამ საკითხზე ფიქრი უკვე დაწყებულია და ცვლილებებიც იქნება. ახალი მინისტრის სჯერათ. გარკვეული ცვლილება უკვე არსებობს. თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დაფინანსდებიან ნიჭიერი ბავშვები. თუმცა ღია რჩება არაერთი საკითხი. რეგიონებში სკოლების ფუნქციონირების პრობლემა და ის, თუ რა კრიტერიუმებით უნდა გამოარჩიონ პირველსა და მეორე კლასში ნიჭიერი პატარები. შესაბამისი კრიტერიუმები არ არსებობს! ნიჭი, ცოტა მოგვიანებით ვლინდება. ჩვენი აზრით, ამ ეტაპზე მთავარია ამ და სხვა გადაწყვეტილებებს პროფესიონალთა ანალიზი ფარგლებში დაუკვირდნენ. ამ თემაზე წერის დაწყებამდე გარკვეული კონსულტაციები პროფესიონალებისგან ჩვენც უნდა მიგვეღო, თუმცა უახლოეს წარსულში საქართველოს ხელისუფლება პედაგოგთა ლიგის მრგვალი მაგიდა გაიმართა და მუსიკადმცოდნეების, მუსიკის პედაგოგებისა და უკვე გაუქმებული თუ ჯერ კიდევ ფუნქციონირებადი სკოლა-სასწავლებლების ხელმძღვანელებს შეხვდით. ლიგის თავმჯდომარეები, ბატონმა თამაზ გადილიამ ეს შეხვედრა სწორედ სამუსიკო განათლების პრობლემებს და პერსპექტივებს მიუძღვნა.

ითქვა ბევრი. იმ ყველაფერზე ვრცლად რაზეც ზემოთ ვისაუბრეთ. პრობლემა მრავალი რაკურსიდან დაინახეს და ეს არ ყოფილა ვინმეზე ნაწყენი ადამიანების შეხვედრა. პირიქით, ხელოვან პედაგოგთა ლიგის წესდება თუ სამომავლო გეგმები, რაც ძირითადად სამუსიკო განათლებაში აღნიშნული წყვეტის აღმოფხვრას ისახავს მიზნად, მხოლოდ საქმიანია და კონსტრუქციულ რეკომენდაციებს მოიცავს.

კომპოზიტორმა შალვა დავითაშვილმა სახელოვნებო განათლების პრობლემა სხვადასხვა მდებარეობაში დაინახა და ღია კითხვები დასვა: რის პროპაგანდასა და პოპულარიზაციას ახდენს დღეს ტელევიზია? რატომ ვერ დაიმსახურა ქართულმა

კლასიკურმა მუსიკამ სულ ცოტა ყურადღება? და ა.შ. ეს თემა ისევ საზოგადოების ინტერესებამდე დავიდა და იმაზე, რომ არც ერთი ტელევიზია დღეს ამ საზოგადოების ფასეულობათა თამაშის ანგეზზე და შესაბამისად, საკუთარზე არ ზრუნავს. ეს ზოგადი საუბარი ცხადია კონკრეტულ საკითხებამდე დავიდა და მაგიდასთან მთავარ თემაზეც ალაპარაკდნენ. ჩვენ სრულად ამ დისკუსიას ვერ შემოგთავაზებთ, თუმცა ვფიქრობ, მის შესახებ უკვე ნათელი წარმოდგენა შეგიქმნით. ეს სტატიაც ხომ ამ შეხვედრით არის ინსპირირებული... მაგრამ ამონარიდებს მაინც წარმოგიდგენთ:

ქორქაძე გია, თბილისის მე-2 სამუსიკო სასწავლებლის დირექტორი: "სამივე მუსიკალური სასწავლებელი 3 წლის განმავლობაში მიღევად რეჟიმში მუშაობდა და დღესდღეობით ფაქტობრივად არ არსებობს არცერთი. რაც შეეხება ნიჭიერთა ათწლედს, ის დატოვებს მატერიალური ბაზის გარეშე. სავარაუდოდ ამ პირობებში აკრედიტაციას ვერ გაივლის. ასეთი პრეცედენტები უკვე გვაქვს. პირველი სამუსიკო სასწავლებელი - ყველაზე ტრადიციული სასწავლებელი, რომელიც კონსერვატორიის დაარსებამდე გვქონდა, აღარ არსებობს. რაც შეეხება ჩემს სასწავლებელს, ეს იყო მე-9 სამუსიკო სკოლა, რომელიც მუნიციპალურ დაფინანსებაზე გახლდათ. 90-იან წლებში მის ბაზაზე ჩამოვყალიბე მიქელაძის სახელობის საკლავირო მუსიკის განხრის მქონე კოლეჯი, 10 წლის განმავლობაში წარმატებით ვმუშაობდით და ვქნიდით კადრებს, რომელიც კონსერვატორიაში აგრძელებდა სწავლას... 2000 წლიდან ვითარდებოდა აზრი, რომ ამდენი სკოლები არ არის საჭირო. მაგრამ სამწუხაროდ ბოლო 2 წელი შეიქმნა სერიოზული დეფიციტი - კონსერვატორიაში ჩამბარებული ალარაჟინ აღმოჩნდა. კონსერვატორია - სერიოზული ნაგებობაა, სერიოზული რემონტი ჩაატარეს, მაგრამ ცოტა ხანში იქაურობა მუხუზმად იქცევა. მიმიე ვითარებაა და გამოსავალი უნდა მოიძებნოს საჩქაროდ... ოთარ თაქთაქიშვილის დროს საორკესტრო განყოფილებაზე სამუსიკო სკოლებში სწავლა გახლდათ უფასო, ანუ სასულე განყოფილებაზე და სიმებიანზე

ამით ვიზიდავდით მოსწავლეებს. 3 წლის წინ, არასწორი დადგენილებით, გადაწყდა, რომ ყველა სამუსიკო სასწავლებელი საქართველოში გადავიდა თვითდაფინანსებაზე. შეუძლებელია რომ ორმა სასწავლებელმა მოამზადოს კადრი. მშობლებისთვის რთულია შორი მანძილიდან ბავშვების ტარება, გადასახადზე ალარაფერს ვამბობ, ამიტომაც რაიონში უნდა იყოს რამდენიმე სასწავლებელი, უნდა იყოს დაფინანსებაც..."

გიორგი ერისთავი, რუსთავის გაუქმებული სამუსიკო სასწავლებლის ყოფილი დირექტორი: "პრინციპში პრობლემა ერთია. პრობლემა თუ თბილისში გადაწყდება, ის რუსთავშიც გადაწყდება. რუსთავში მთელი აქცენტი დაფინანსებაზეა. იქნება დაფინანსება - პედაგოგიც იქნება და მოსწავლეც. თუ არ იქნება დაფინანსება - არაფერიც არ იქნება. საქმე იმაშია, რომ როცა პედაგოგი 30 ლარს იღებს, ის არ ივლის და არც არაფერს გააკეთებს. რუსთავში დამთავრდა მიღვეადი რეჟიმი, დამთავრდა და დაიხურა სამუსიკო სასწავლებელიც. გასაგებია, რომ კონსერვატორიამ საკუთარ ბაზაზე გახსნა ერთი თერთმეტწლიანი სასწავლებელი - მაგრამ ერთი სასწავლებელი მოაგვარებს ამ პრობლემას? ჩაანაცვლებს ყველას? რა უნდა ვქნათ რეგიონებში? ნუ გადაწყვედებათ რომ მხოლოდ რუსთავში 4 სკოლა იყო."

თამაზ გადილია, გაუქმებული მე-2 სამუსიკო სასწავლებლის ყოფილი დირექტორი, ხელოვან პედაგოგთა ლიგის თავმჯდომარე: "11-წლიანი განათლება ვერ ჩაანაცვლებს ვერაფერს! ის კურსდამთავრებულს ვერ აძლევს იმის საშუალებას, რომ პედაგოგიური მოღვაწეობა გააგრძელოს. საშუალო სპეციალური განათლების რგოლს ჰქონდა ორი ფუნქცია. 1. დიპლომი დამოუკიდებელი შრომითი საქმიანობის საშუალებას აძლევდა; 2. უფლებას გაეგრძელებინა უმაღლეს სკოლაში სწავლა. უმრავლესობა ამ კურსდამთავრებულებისა შრომით საქმიანობას აგრძელებდა. მხოლოდ 1-2 პროცენტი მიდიოდა კონსერვატორიაში და არც იყო მეტის წასვლა სასურველი. როცა ეს რგოლი გაქრა, რაიონებში დადგა პედაგოგების პრობლემა. კონსერვატორია ვერ უზრუნველყოფს მთლიანად საქართველოს მომარაგებას პედაგოგიური კადრებით. რუსთავში ამას აკეთებდა რუსთავის სასწავლებელი, ფოთში - ფოთის სასწავლებელი და ა.შ.

ჩვენი აზრით, სამუსიკო სკოლა, არა თუ უნდა არსებობდეს, არამედ კულტურული ცენტრის ფუნქცია უნდა შეიძინოს რეგიონებსა და სოფლებში. ჯერ კიდევ არის რაღაც რესურსი და ეს სადავეები ჩვენს ხელშია და ჩვენ უნდა გავავებინოთ ეს აუცილებლობა იმ ორგანოებს, რომელთაც პროცესის აღდგენა და გაუმჯობესება შეუძლიათ. ჭკუა ჯერ კიდევ მოგვეკითხება და იდეები ახაგაზრდებს უნდა გავუზიაროთ."

ხელოვან პედაგოგთა ლიგა სექტემბერში მასშტაბურ შეხვედრას გამართავს, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მეორე შეხვედრა კულტურის პოლიტიკის მმართველთა ყურადღებას დაიმსახურებს. თუნდაც ერთი რიგიანი იდეა და რჩევა, რომელთაც გამოცდილი პროფესიონალები უანგაროდ იმეტებენ ამ ყურადღების ღირსი ნამდვილად უნდა გახდეს. პროფესიონალიზმი ხომ ისაა, რაც ასე გვაკლია ყველა დაწესებულებასა და ზოგადად სისტემებში.



დავით კოზირიძის სკატი

მისტიკური ტრილერი

რამდენიმე დღის წინ კიკეთში უცნაურ ამბავს შევესწარი - შტაბში შემძვრალი ჩემი 5 წლის შვილი და მისი ადგილობრივი ძმაცაი ელგუჯა, რომელიც ყველა მულტიფილმს, "ყურმა გაყოფიდა" იქნება თუ "პერსეპოლისი", "ნუკაბანდის" ეძახის, ღრმა მწუხარებით აუწყებდნენ ერთმანეთს, თუ რა უდროოდ გარდაიცვალა მაიკლ ჯექსონი. მისტიკაა. ეს ამბავიც და ყველაფერი, რაც ჯექსონის გარშემო ხდებოდა და ხდება. ელგუჯადან დანყბული, ქუინსი ჯონსით დამთავრებული, ამ ზაფხულს ყველა მასზე ლაპარაკობდა. ეს კი ძალიან იშვიათად ხდება. ხდება მხოლოდ მაშინ, როცა პელები კედლებიან. როდესაც ჯექსონმა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ანექსიაც მოახდინა, ბუდაპეშტიდან მისი უზარმაზარი პლაკატი ჩამოვიტანე. ნატურალურ ზომებში იყო, ბრჭყვიალა ტანსაცმელი ეცვა, მიკროფონთან იდგა ჯიბეში ცერათითიფაფილი და დანარჩენი ოთხი ჯიბეზე ზემოდან ედო - ებიზოდი WE ARE THE WORLD-იდან. რომ მომენდომებინა, კაი ხოშიან "არლიონოკში" გავცვლიდი, მაგრამ უფრო საინტერესო წინადადებაც მივიღე. ერთ მშვენიერ საღამოს ჩემი კლასელი გოგო მესტუმრა თავის უფროს, ძალიან ლამაზ მეგობართან ერთად. სხვათა შორის, სამივეს "ჯექსონები" გვეცვა. გამარჯობაც არ უთქვამთ, ისე შევიდნენ ოთახში, სადაც პლაკატი ეკიდა და უცბად საშინელი კივილი გაისმა. ლამაზი კიოდა. მერე მწვანე თვალები აუცრემლიანდა. მერე დამშვიდდა და რამდენიმე წუთი სამივემ სამუხუშო სიჩუმეში გაეატარეთ. მერე კი ლამაზმა ლაპარაკი დაიწყო, მიუხეია, მოუხეია და ნელ-ნელა მაგრძნობინა, ამ პლაკატის ამბავში ყველაფერზე მასწავლებელი ვარო. "ერთხელ ამერიკაში" რომ ნამცხვარს უყურებს ბოზთან მისული ბავშვი, ისე მიყურებდა მწვანეთვალა (უკაცრავად, სახელი ვერ გავიხსენე) მე და ისე ვუყურებდი მე მაისს. და არ მივეცი! მიუხედავად იმისა, რომ მაშინ "ნამცხვარი" არ მქონდა გასინჯული, არ მივეცი, ამ სიტყვის პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით. მისტიკაა, აბა, რა ჯანდაბაა...

გავაღა ნლები, ნამცხვარიც გეახელით, ის პლაკატიც ვიღაცას ვაჩუქე, მაგრამ ჯექსონის მისტიკა ვერა და ვერ მოვიშორე. პუშკინის ქუჩაზე მალაზია, "პლანეტა". ადრე მაგარ მოდამი იყო. დილაობით იქ დავდიოდი "სპორტ ექსპრესის" საყიდლად. ერთხელაც შევედი, გაზეთები ვიყიდე და ვხედავ, ჯექსონის პლაკატი იყიდება: მარცხნივ სანდრა კიდია, მარჯვნივ - საბრინა და შუაში - მაიკლი. ის ამბავი გამახსენდა, ლიმონით გამოვდი და მეგობარი შემხვდა, საქმიანი ჩქარი ნაბიჯით მიდიოდა. სად მიდიხარ-მეთქი. მოსკოვშიო. წამოხვალ? აბა, რას ვიზამ. და წავედი. "ჩერეზ" გროზო. ეს ისეთი ამბავია, მამები რომ ყვებოდნენ, პურზე გავედი და სოპანი აღმოვჩნდიო.

მოსკოვში ჩასულემა გავარკვეით, რომ მეორე დღეს... ჯექსონის კონცერტი იყო. ისიც გავარკვეით, რომ ბილეთის მოვნის შანსი არაა და ისიც, რომ საღამოს სასტუმროს ფანჯრიდან გამოიხედავს. წავედი სასტუმროსთან და რამდენიმე ათას ადამიანთან ერთად ლოდინი და ვინყეთ. ეელოდეთ, ეელოდეთ და გამოჩნდა! აბა, იქ უნდა გენახათ, რა ხდებოდა. აი ის, ჩემი ოთახის კივილი გამრავლებული ძალიან ბევრზე. ყველა ჯექსონს უყურებდა ჩემს გარდა, იმიტომ რომ ისეც ის აცრემლებული, მწვანე თვალები დავინახე. დავინახე და ბრბოში დავკარგე. ეს მისტიკა აღარ იყო, ეს იყო ტრილერი.

ჰო, ტრილერზე გამახსენდა. 1999 წლის 31 დეკემბერს ამერიკულ მუსიკალურ არხზე BET მეოცე საუკუნის ასი საუკეთესო ზანგური სიმღერა გაუშვეს. ფანტასტიკური კონცერტი გამოვიდა და ჯექსონის "ტრილერი" მეორე ადგილზე გავიდა. პრინციპში, პირველზე, იმიტომ რომ გარჯვება მარტინ ლუტერ კინგის სიტყვას აჩუქეს.

მას შემდეგ, რაც ამ წერილის დაწერა დავიწყე, მინი-სოცოლოგიური გამოკითხვა ჩავატარე და შედეგები ასეთია - უმეტესობას ამ მართლაც დიდი მუსიკოსის სიკვდილი ეწყინა, ნაწილმა, ერთი მაგის ასე და ისე, ზოგმა, ბავშვების ცოდვამ უწიაო, ერთი-ორმა ისიც თქვა, მომავალი კონცერტების შეეშინდა და თავი მოიკლაო. ყველაზე ბრძნული და იდუმალი ვერსია კი რომელიდაც ყავისფერში გარდამავალ ყვითელ ჟურნალში ამოვიკითხე, სადაც ოცი წლის გავამ ჟურნალისტს უთხრა: ეგ და თუფაქი ცოცხლები არიან და მალე ერთად დაგვიბრუნდებიან!

კინალამ დამავინყდა - ჯექსონის ბებია ქართველი იყო. მართლა. კასპში, პუტინის დედის სახლთან, მარჯვნივ უნდა შეტყობ, ას მეტრს გაავლი, ბეკენბაუერის მამის სახლთან მარცხნივ შეუხვევ და წითელი აგურის ორსართულიანი რო დგას, აი, მანდ ცხოვრობდა.

მომავალ სამშაბათამდე

ქართული ახალგაზრდები ელიტას მიუახლოვდნენ



შეტევაზეა რიჩარდ მათიაშვილი.

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის B დივიზიონში მოასპარეზე საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა ჯგუფური ეტაპი წარმატებით გადალახა და აგრძელებს ბრძოლას ელიტარული დივიზიონის საგზურის მოსაპოვებლად.

შეგახსენებთ, რომ უსტიაშვილის შეგირდებმა ჯგუფური ეტაპი წარუმატებლად დაიწყეს და პორტუგალიელებთან დამარცხდნენ, თუმცა შემდეგ საქართველოს ნაკრებმა ზედიზედ სამი მატჩი მოიგო, თითოეულის შესახებ ქვემოთ მოგახსენებთ.

საქართველო 88:53 ლუქსემბურგი

ზოგადად, ლუქსემბურგის დამარცხება დიდ გმირობად არ მიიჩნევა, მაგრამ გუშინდელი მატჩის გათვალისწინებით, რომელშიც ამ ჯუჯა-სახელმწიფოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა პირველ ტურში საქართველოს მძლეველი პორტუგალია გაანადგურა, ქართველების დღევანდელ მოგებას მართლაც განსაკუთრებული გემო და მნიშვნელობა ჰქონდა. საქართველოს ნაკრებმა ძალიან იოლად, 35 ქულის სხვაობით დაამარცხა ლუქსემბურგი და ჯგუფიდან გასვლის ჩვენი შანსები გაზარდა.

დავით უსტიაშვილის გუნდმა თავიდანვე სოლიდური უპირატესობა მოიპოვა და რაც დრო გადიოდა, ლიდერობას უფრო იმყარებდა. ქართველებს ყველა რგოლში გამოსდიოდათ ჩანაფიქრი. თავდაპირველად უკანახაზელმა კოკა ტომარაძემ გამოიღო თავი და შორიდან სროლებითა თუ გარღვევებით ჩვენს ნაკრებს სოლიდური უპირატესობა მოუპოვა. პირველი მოთხედი საქართველომ 25:14 მოიგო, რის შემდეგაც ჩვენი მეფარეების ჯერი დადგა. რიჩარდ მათიაშვილი, ნიკა მეტრეველი, თორნიკე და ლევან შენგელიები - ამ ბიჭების შემჩერებლები ლუქსემბურგელთაგან ვერავინ გამოდგა.

პირველი ტაიმი ბოლოს მეტოქე 8 ქულამდე მოგვიახლოვდა, თუმცა ისეც ტომარაძემ იყოჩაღა, რომელმაც მიჯრით მიითვალა 5 ქულა და ქართველები დიდი შესვენებისთვის 49:36 დაანინაურა.

მეორე ტაიმი და ლუქსემბურგელების რბევა ერთდროულად დაიწყო. მეტრეველი და შენგელიები ქულას ქულაზე მოხვდნენ, მათიაშვილი კი მოხსენებზე ჩასაფრებულიყო, მაშინვე ქართველების უპირატესობამაც მალე 20-ქულას გადააჭარბა. ბოლო მეოთხედის წინ სა-

ბისა. მაგრამ რად გინდა - უსტიაშვილის გუნდის აქტიურობის ქუსლმა კვლავ იჩინა თავი და ჩვენებმა აუარება საჯარიმოები ააცილეს. მარტო თორნიკე შენგელიამ პირველ მეოთხედში 7-ჯერ ესროლა საჯარიმო და მხოლოდ 2 ჩააგდო. პირველი ტაიმის ბოლო წამებამდე კი არც ერთ ქართველს არ ჰქონდა ჩაგდებული მიჯრით ორივე საჯარიმო - არადა, ჩვენებმა 15-ჯერ ისროლეს მეტოქის ფარში. პირველი ტაიმის დასრულებამდე 13 წამით ადრე ნიკა მეტრეველმა მოახერხა, ორივე საჯარიმოს ჩაგდება და საქართველო დიდ შესვენებაზე 12-ქულიანი უპირატესობით გაიყვანა.

საინტერესოა, როგორ დაწინაურდნენ ქართველები ასე სოლიდურად, თუკი ამდენ საჯარიმოს აცილებდნენ? ჩვენები კი ბევრს აცილებდნენ, მაგრამ ბევრსაც ხსნიდნენ ფარიდან ასხლეტილ ბურთს და ამით ქართველ კალათბურთელებს განმეორებითი შეტევის უფლება ეძლეოდათ. შენგელია საჯა-

რიმებს აცილებდა, თორემ შორი დისტანციიდან სლოვაკები გაანამა: 5-დან 4 სამქულიანი ჩააგდო და პირველი ტაიმის შემდეგ 16 ქულით საუკეთესო იყო.

აღსანიშნავია ნიკა მეტრეველის გარჯაც, რომელიც პირველ ტაიმში 11 ქულით გამოირჩა, ხოლო ლევან შენგელიამ 4 მოხსნა მიითვალა და ოთხივე მეტოქის ფარქვეშ (საბოლოოდ შვიდივე მოხსნა მეტოქის ფარზე დაუგროვდა).

მესამე მეოთხედში ყველაფერი გადანყდა, რომელიც ქართველებმა 24:11 მოიგეს, - 67:42 დაწინაურდნენ და ბოლო მეოთხედს აზრი დაუკარგეს მალე სხვაობამ 30 ქულას გადააჭარბა და ქართველებს დარჩენილ დროში თავი აღარ გამოუღიათ - დავით უსტიაშვილმა ძირითადი შემადგენლობის მოთამაშეებს დასვენების საშუალება მისცა - მომდევნო დღეს ხომ სერიოზული ბრძოლა გველოდა ჯგუფიდან უკვე გასულ შედეგთა ნაკრებთან.

საქართველო - შვედეთი 62:53

ეს თამაში გუშინ გაიმართა და სწორედ ამ შეხვედრაში ირკვეოდა საქართველოს ნაკრების ბედი. მარცხის შემთხვევაში უსტიაშვილის გუნდი, ალბათ ელიტარული დივიზიონის საგზურისთვის ვეღარ იბრძოლებდა, გამარჯვება კი ჩვენ ბიჭებს სანუკვარი მიზნისკენ გზას უხსნიდა.

ქართველმა ახალგაზრდებმა მთელი თამაში მაღალ დონეზე ჩაატარეს, განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ჩვენი გუნდის დაცვაში თამაში. შედეგებმა მხოლოდ 53 ქულის დაგროვება შეძლეს. ასეთ მნიშვნელოვან შეხვედრაში, ალბათ არავის გამორჩევა არ ღირს, თუმცა გეტყვით, რომ საქართველოს ანკერების ლიდერებმა კვლავაც მაღალი დონის კალათბურთი აჩვენეს.

აღსანიშნავია, რომ შედეგის დამარცხება ჩვენი გუნდისთვის ორმაგად მნიშვნელოვანია. საქმე ისაა, რომ ტურნირის ფორმატიდან გამომდინარე, ჯგუფში პირველ მეორე ადგილზე გასული გუნდები, შემდეგ ეტაპზე ორ სხვა გუნდთან ერთად, რომლებმაც შესაბამისად სხვა ჯგუფში დასაჯივს პირველი მეორე ადგილი, კიდევ ერთ ჯგუფს ქმნიან. მეორე ჯგუფურ ეტაპზე კი სატურნირო ცხრილში საქართველოს ნაკრებს, ჯგუფში გამარჯვებისთვის უკვე ორი ქულა ექნება და ეს ორი ქულა ჩვენს გუნდს შედეგების დამარცხების გამო დაენერა.

ქართული დღე ნაბორიაში

ბრძოლა წააგო და ტურნირის მოგების შანსიც დაკარგა. ცხრა დღის შემდეგ 9-9 გამარჯვებით ბაშოს ლიდერობენ ჰაკუშო და ოძეკი კოტოშუ.

როგორც იცით, სამი მოგების შემდეგ კოკაი ზედიზედ ხუთჯერ დამარცხდა. ასე რომ გაეგრძელებინა, რეიტინგში დაქვეითებას ვერ გადაურჩებოდა. გუშინ ლევან ცაგურიაშვილმა პატაკიკომის ილეთით აღმოჩენილი მძევლები დაიჭრა და მათი სიცოცხლე შეუწყვიტა.

ბუშინამას სძლია და აქტიურობით მეოთხე გამარჯვება ჩაინერა, რითაც ოდნავ გაიუმჯობესა მდგომარეობა.

ტოჩინოშინი კარგად ასპარეზობს და იმისთვის, რომ დადებითი ბალანსი დაიბეგოს, დარჩენილი ექვსი ბრძოლიდან ორის მოგებალა სჭირდება. გუშინ ლევან გორგაძემ ჰიკიოტომის ილეთით დასაველეთის მეცხრე მაიგაშირას - ტაქეკაზეს მოუგო. ახალგაზრდა ქარ-

თველ სუმოისტს 6 გამარჯვება და 3 მარცხი აქვს.

დღეს სუმოისტები მეათედ გავლენ დოპიოზე. კოკაი დაეჭიდება აღმოსავლეთის მეოთხედი მაიგაშირას - ტოსაუკას, რომელსაც ცხრიდან მხოლოდ ოთხი ბრძოლა აქვს მოგებული. ტოჩინოშინის მეტოქე იქნება დასაველეთის მეხუთე მაიგაშირა მაკონამი, რომელმაც ასევე ოთხი ბრძოლა მოიგო.

VARTA-ს ექსკლუზიური დილერი საქართველოში "თეგეტა მოტორსი" გთავაზობთ აკუმულატორებს ნებისმიერი მოდელის ავტომანქანისათვის. 8 წლიანი რეგულაციით და 2 წლიანი საგარანტიო მომსახურებით.

დროა შეაჩერო სრულიად განსხვავებულ საფასურში

VARTA

საავტომობრობის აქსესორი

VARTA

VARTA

VARTA

VARTA

VARTA

VARTA

ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ.
☎ 24-44-44 ☎ 24-44-44 (1119)
E-mail: info@tegetamotors.ge www.tegetamotors.ge

თეგეტა მოტორსი
TEGETA MOTORS
HOLDING COMPANY
დ რ მ ა ა ი რ ნ ი მ ხ ა რ ი ს ხ ი

სატენდერო განცხადებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის ქველი თბილისის რაიონის გამგეობის მიერ 2009 წლის 20 ივლისს გაზეთ "24 საათში" გამოქვეყნებულ "ქ. თბილისში, პ. ინგოროყვას ქ. N20-ში მდებარე შენობის აღდგენა-გამაგრებისა და ალ. გრიბოედოვის ქ. N29-ში მდებარე შენობის კონსტრუქციული გამაგრების სამუშაოების" სახელმწიფო შესყიდვის სატენდერო განცხადების მე-4 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

4. სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებელის გადახდის დამადასტურებელი საბუთის წარმოდგენისთანავე 2009 წლის 10 აგვისტოს 18 საათამდე, შემდეგ მისამართზე: 0105, ქ. თბილისი, გ. ლეონიძის ქ. N2, მე-3 სართული, ოთახი N5. სატენდერო დოკუმენტაცია შესრულებული იქნება ქართულ ენაზე.

მე-6 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

6. პრეტენდენტებმა ქართულ ენაზე შედგენილი განაცხადი ტენდერში მონაწილეობის შესახებ და საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, ერთ დახურულ კონვერტში უნდა წარმოადგინონ 2009 წლის 11 აგვისტოს 10-დან 14 საათამდე შემდეგ მისამართზე: 0105, ქ. თბილისი, გ. ლეონიძის ქ. N2, მე-3 სართული, ოთახი N5. პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ერთი სატენდერო წინადადება, ალტერნატიული წინადადებები **იქნება განმეორებით**

განცხადება

თვითმმართველი ქ. ფოთის მერიის მშენებლობის სამსახურის მიერ "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის შესაბამისად მ/წლის 9 ივნისის გაზეთ "24 საათში" გამოცხადებულ ტენდერში II საჯარო სკოლის კაპ.შეკეთების სამუშაოების შესრულებაზე გამარჯვებულად გამოვლინდა

ლოტი I - შ.პ.ს. "ტოტალ"

ლოტი II - შ.პ.ს. "ალისა"

სატენდერო კომისია

განცხადება აუქციონის გამოცხადების შესახებ

შპს "საგზაო საწარმო"-ს გაკოტრების მმართველი აცხადებს აუქციონს შპს "საგზაო საწარმო"-ს სამეურვეო ქონების (აქტივების) რეალიზაციაზე (საზოგადოების სასარგებლოდ წარმოშობილი დებიტორული დავალიანებები 1243772 ლარზე ერთ ლოტად).

აუქციონზე გამოტანილი ლოტის ღირებულებაა **3700000** (სამი მილიონ შვიდასი ათასი) **ლარი**; ბიჯი - **100 000** (ასი ათასი) **ლარი**, ბე - **700000** (შვიდასი ათასი) **ლარი**.

აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

აუქციონში მონაწილეობა, თანხის გადახდის ვადები და ვალდებულებები:

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად გადასახდელი ბე და ბილეთის შესაძენი ფასი, რომელიც 100 ლარია, მონაწილის მიერ გადახდილი უნდა იქნას შემდეგ რეკვიზიტებზე: ს/ს "საქართველოს ბანკის" ბათუმის ფილიალი, ბანკის კოდი 220101502, ანგარიშის ნომერი 008467028, საიდენტიფიკაციო N245400971.

მყიდველი ვალდებულია აუქციონის ჩატარებიდან **30 (ოცდაათი)** კალენდარული დღის ვადაში გადაიხადოს მის მიერ აუქციონზე დასახელებული ობიექტის საბოლოო გასაყიდი ფასი, წინააღმდეგ შემთხვევაში მას არ მიეცემა საკუთრების უფლება ობიექტზე და ბეს შენატანი არ დაუბრუნდება. ბეს შენატანი არ დაუბრუნდება ასევე აუქციონის შედეგების ოქმზე ხელმოწერის უარის მთქმელ გამარჯვებულ მონაწილეს.

ინფორმაცია აუქციონის ჩატარების შესახებ

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადების მიღება მიმდინარეობს ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, გამოქვეყნებიდან 2009 წლის 03 აგვისტოს ჩათვლით 10 სთ-დან 13:00 სთ-მდე (ბათუმი ჯავახიშვილის ქუჩა N64).

აუქციონი გაიმართება 2009 წლის 03 აგვისტოს 13.00 საათზე. მისამართი: ბათუმი ჯავახიშვილის ქუჩა N64.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად სააუქციონო კომისიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი;

ბ) ბეს შეტანის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი, აუქციონში მონაწილეობის მისაღებად შესაძენი მონაწილის ბილეთის საბანკო ქვითარი;

გ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ქსეროასლი;

დ) ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით;

ე) იურიდიული პირები დამატებით წარადგენენ ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან და ქონების შეძენის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილებას აუქციონში მონაწილეობის თაობაზე.

გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმები:

აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია ყველაზე მაღალი ფასის დასახელება (არანაკლებ სანყისი გასაყიდი ფასისა, ბიჯის გათვალისწინებით).

დამატებითი ინფორმაცია ობიექტის შესახებ შეგიძლიათ მიიღოთ სააუქციონო კომისიაში. საკონტაქტო ტელეფონი: 899919162, 871 33 17 74.

ბი არ განიხილება.

ქ. თბილისის ქველი თბილისის რაიონის გამგეობის სატენდერო კომისია

CMYB

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი მონევა ფასთა კოტირების წარდგენაზე

საიდენტიფიკაციო ნომერი: NADB/NS/010-1-2009

დაფინანსების წყარო: აზიის განვითარების ბანკის სახსრები; კრედიტის N2441-GEO(SF)

1. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი იწვევს ფასთა კოტირების წარდგენაზე დაინტერესებულ ორგანიზაციებს, რომლებმაც უნდა წარმოადგინონ კოტირებები საქართველოს საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდისათვის სხვადასხვა დონორების მიერ დაფინანსებული პროექტებისათვის, სხვადასხვა ობიექტიდან არებული ასფალტბეტონის ნიმუშების ლაბორატორიული გამოცდების ჩასატარებლად მომსახურების შესყიდვა.

2. ფასთა კოტირების შეფასება განხორციელდება ფასების შედარების საფუძველზე და კონტრაქტი მიენიჭება ფირმას, რომელიც წარმოადგენს (I) ტექნიკურად შესაბამის და (II) ყველაზე დაბალი ფასის მქონე წინადადებას.

3. საკონკურსო დოკუმენტაცია დაინტერესებულ კონკურსის მონაწილეებს შეუძლიათ მიიღონ უფასოდ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში შემდეგ მისამართზე:

ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. N150, IV სართ., ოთახი N405;
ტელ: +99532 484510, 484511, 484515 (შიდა ნომერი - 405) ფაქსი: 484555
ელ-ფოსტა: procurement@mdf.org.ge
ვებ-გვერდი: www.mdf.org.ge

4. კოტირების მიღების ბოლო ვადა (ზემოთ მითითებულ მისამართზე) არის: 2009 წლის 4 აგვისტო, 17:00 საათი.

შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“ აცხადებს ღია ფასთა გამოკითხვას ავტოპარკისთვის სათადარიგო ნაწილების შეძენაზე.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ იურიდიულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ შესყიდვების განყოფილებაში, ყოველდღე (შაბათ-კვირის გარდა), 09:00 – 18:00 სთ-მდე.

განცხადების მიღების საბოლოო ვადაა მ/წ 31 ივლისი.

საკონტაქტო ტელეფონი 8(32) 487141, 8(32) 487143

e-mail: zmamatsashvili@georgianwater.com
isakvarelidze@georgianwater.com

შ. პ. ს. „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“ აცხადებს ღია ფასთა გამოკითხვას სამეურნეო საქონლის შეძენაზე.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ იურიდიულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ შესყიდვების განყოფილებაში, ყოველ დღე (შაბათ-კვირის გარდა), 09:00 – 18 სთ-მდე.

განცხადების მიღების საბოლოო ვადაა მ/წ 30 ივლისი.

საკონტაქტო ტელეფონი 8(32) 487141, 8(32) 487143

e-mail: zmamatsashvili@tbilisiwater.com
isakvarelidze@georgianwater.com

განცხადება

"დამოუკიდებელი ეროვნული მარგულირებელი ორგანოების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, მიმდინარე წლის 21 ივლისიდან საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია აცხადებს ღია კონკურსს კომისიასთან არსებული მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის თანაშემწის ერთი ვაკანტური ადგილის დასაკავებლად.

თანაშემწის თანამდებობრივი სარგო - 1000 ლარი.

კონკურსში მონაწილეობის მსურველმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები:

- განცხადება;
- 2 ფოტოსურათი 3/4;
- ავტობიოგრაფია (ჩV);
- უმაღლესი იურიდიული განათლების დამადასტურებელი მოწმობის (დიპლომი) ასლი;
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
- საადვოკატო საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილება.

განცხადება მიიღება 2009 წლის 21 ივლისიდან 31 ივლისის ჩათვლით, შაბათ-კვირის გარდა, 11:00 სთ-დან 17:00 სთ-მდე.

კონკურსანტების შერჩევა მოხდება არა უგვიანეს 4 აგვისტოსი.

მისამართი: ქ. ქუთაისი, ჩეჩელაშვილის ქ. N26

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით, ტელ: 4 42 92; 4 42 94; 104 (შიდა).

მონევა ეროვნულ საკონკურსო ვაჭრობაზე

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი

სესხი: მუნიციპალური მომსახურების განვითარების პროექტი - ფაზა II
კონტრაქტის ნომერი და სახელწოდება: P43171-NCB-1.03

დაბა შუახევის შიდა ქუჩების რეაბილიტაციის ქვეპროექტი

საკონკურსო წინადადებების წარმოდგენის ბოლო ვადა: 2009 წლის 19 აგვისტო

საქართველოს მთავრობამ მიმართა აზიის განვითარების ბანკს (აგბ) სესხისათვის მუნიციპალური სერვისების განვითარების პროექტის - ფაზა II დასაფინანსებლად. აღნიშნული სესხის ნაწილი გამოყენებული იქნება ზემოთ ხსენებული პროექტის დასაფინანსებლად. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა მონაწილეს აგბ-ის უფლებამოსილი ქვეყნებიდან.

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი ("დამკვეთი") იწვევს საკონკურსო ვაჭრობაზე მონაწილეობის უფლების მქონე ორგანიზაციებს, რომელთაც უნდა წარმოადგინონ საკონკურსო წინადადებები დალუქულ კონვერტებში დაბა შუახევის შიდა ქუჩების რეაბილიტაციის სამუშაოების განსახორციელებლად ("სამუშაოები").

სამუშაოების ძირითადი მოცულობებია:

- ქვიშა-ხრეშოვანი ნარევი 3054 კუბ.მ;
- ფრაქციული ღორღი 2939 კუბ.მ;
- თხევადი ბიტუმი 20.61 ტ;
- მსხვილმარცვლოვანი ასფალტობეტონის საფარი 22 897 კვ.მ;
- წვრილმარცვლოვანი ასფალტობეტონის საფარი 22 897 კვ.მ;
- ლითონის მილი d=500; 600 52 გრძ.მ;
- პლასტმასის მილი d=500 102 გრძ.მ;
- რკ. ბეტონის კანალიზაციის ჭა d=1000 9 ც;
- კიუვეტების მოწყობა 327.3 კუბ.მ.

კონტრაქტის განხორციელების პერიოდი შეადგენს 6 თვეს.

აღნიშნულ კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია შემდეგი კვალიფიკაციების მქონე უფლებამოსილ კონკურსის მონაწილეებს:

- კონკურსანტს, როგორც გენერალურ კონტრაქტორს, ბოლო 5 წლის განმავლობაში წარმატებით უნდა ჰქონდეს განხორციელებული მინიმუმ ორი მსგავსი ტიპის სამუშაო, თითოეული არანაკლებ 1,2 მილიონი ლარის ღირებულებით. სამუშაოთა სირთულე შედარებული იქნება საკონკურსო წინადადებით განსაზღვრულ სამუშაოებთან;
- სამუშაო წლიური ბრუნვა ბოლო სამი წლის განმავლობაში უნდა იყოს მინიმუმ 4,5 მილიონი ლარი;
- ლოკიდური აქტივების და/ან კრედიტის მოზიდვის საშუალებების მოცულობა, სხვა საკონტრაქტო ვალდებულებებით განსაზღვრული საკრედიტო საშუალებების გარდა, უნდა შეადგენდეს 1,5 მილიონი ლარის ექვივალენტს. კონკურსის მონაწილემ უნდა უზრუნველყოს დოკუმენტური მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ მისი ფინანსური მდგარდობა არ არის შე-

მოთავაზებული საკონკურსო წინადადების ფასზე ნაკლები;

- კონკურსის მონაწილემ უნდა აჩვენოს, რომ მისი ძირითადი პერსონალი აკმაყოფილებს მოთხოვნილ კვალიფიკაციას: მსგავსი ტიპის პროექტებში მინიმუმ 10 წლიანი სამუშაო გამოცდილება;

- კონკურსის მონაწილე უნდა ფლობდეს საკონკურსო დოკუმენტაციაში მითითებულ სამუშაოების განხორციელებისთვის აუცილებელ მანქანა-დანადგარებს, ან ვალდებულია უზრუნველყოს მათი ხელმისაწვდომობა. აღნიშნული აღჭურვილობა უნდა იყოს მუშა მდგომარეობაში და უნდა შეძლოს აღნიშნულის დემონსტრირება.

ეროვნული საკონკურსო ვაჭრობა ჩატარდება აზიის განვითარების ბანკის ერთგვარდობის პროცედურის შესაბამისად: შერჩევა ერთი კონვერტის სატენდერო პროცედურების მიხედვით.

დაინტერესებულ კონკურსის მონაწილეებს დამატებითი ინფორმაციის მიღება და საკონურსო დოკუმენტაციის ნახვა შეუძლიათ ქვემოთ მითითებულ მისამართზე 10:00-დან 17:00 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა):

უფლებამოსილი პირი: ბ-ნი ლაშა გოცირიძე, მფ-ს აღმასრულებელი დირექტორი, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი

მისამართი: დ. აღმაშენებლის გამზ. N150, თბილისი 0112, საქართველო

IV სართული, ოთახი 405

ტელ: (+995-32) 48-45-09/10/11/15

ფაქსი: (+995-32) 48-45-55

ელ. ფოსტა: procurement@mdf.org.ge

დაინტერესებულ უფლებამოსილ კონკურსის მონაწილეებს საკონკურსო დოკუმენტაციის სრული პაკეტების შეძენა შეუძლიათ ზემოთ მოცემულ მისამართზე წერილობითი განაცხადის წარმოდგენისა და არანაზღაურებადი 200 ლარის გადახდის შემდეგ. გადახდის მეთოდს წარმოადგენს პირდაპირი დეპოზიტის ან ტრანსფერის განხორციელება შემდეგ ანგარიშზე:

მოსარგებლის სახელი: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
მოსარგებლე ბანკი: რესპუბლიკა ბანკი, ცენტრალური ფილიალი, გრ. აბაშიძის ქ. N2, თბილისი, საქართველო

უცხოური ვალუტის ანგარიშის ნომერი: 341 800 01 (აშშ დოლარი)

ადგილობრივი ვალუტის ანგარიშის ნომერი: 340 800 01 (ქართული ლარი)

SWIFT Code: REPLGE22 C/A No.: 04-414-550 with Deutsche Bank Trust Company Americas, NY

SWIFT Code: BKTRUS33, ABA#021001033, CHIPS UID: 379104

ყველა საკონკურსო წინადადებას თან უნდა ახლდეს გარანტია 30,000 ლარის ან აღნიშნულის ექვივალენტის ოდენობით თავისუფლად კონვერტირებად ვალუტაში და წარმოდგენილი უნდა იყოს ზემოთ მოცემულ მისამართზე არა უგვიანეს 2009 წლის 19 აგვისტოს 11:00 საათისა.

საკონკურსო წინადადებების გახსნა მოხდება 2009 წლის 19 აგვისტოს 11:00 საათზე იმ კონკურსის მონაწილეთა თანდასწრებით, რომელნიც მოისურვებენ აღნიშნულ პროცედურაზე დასწრებას.

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი სატენდერო განცხადება

მონვევა საერთაშორისო საკონკურსო ვაჭრობაზე (ტენდერზე)
ნედლი წყლის გამწმენდი ნაგებობა სადგერში
სატენდერო პაკეტი: EBRD/W/ICT/1-Borjomi

წინამდებარე განცხადება წარმოადგენს სატენდერო მონვევის გაგრძელებას ზემოხსენებულ პროექტზე, რომელიც გამოქვეყნდა 2008 წლის 16 ივნისს და განახლდა 2009 წლის 16 ივნისს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის ინტერნეტ გვერდზე.

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი, შემდგომში მოხსენებული როგორც "დამკვეთი", აპირებს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (შემდგომში მოხსენებული როგორც „ბანკი“) მიერ მიღებული სესხის და ბანკის მიერ ადმინისტრირებული შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოდან ("SIDA") და ევროკავშირის წყლის პროექტების ხელშემწყობი ფონდიდან ("EUWI ") მიღებული გრანტების ნაწილით და ქალაქ ბორჯომის თანადაფინანსებით დააფინანსოს ნედლი წყლის გამწმენდი ნაგებობა სადგერში.

"დამკვეთი" იწვევს საკონკურსო ვაჭრობაზე (ტენდერზე) დაინტერესებულ ორგანიზაციებს, რომლებმაც უნდა წარმოადგინონ დალუქული კონვერტები საკონკურსო წინადადებით, რომელიც დაფინანსებული იქნება სესხისა და გრანტების ნაწილიდან.

ნედლი წყლის გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა სადგერში

სამუშაოები ითვალისწინებს დეტალური მუშა პროექტისა და მუშა ნახაზების შემუშავებას; აღჭურვილობის მოწოდებას, მონტაჟსა და ექსპლოატაციაში გაშვებას.

სამუშაოების სავარაუდო ხარძლივობაა 12 თვე.

ბანკის სესხით და გრანტებით დაფინანსებული სამუშაოების შესასრულებლად გამოცხადებულ ღია ტენდერში მონაწილეობა შეუძლიათ მიიღოს ფირმებმა ნებისმიერი ქვეყნიდან. ბანკის სესხის ნაწილით არ დაფინანსდება პიროვნების ან ერთეულების, ან საქონლის იმპორტის ხარჯები, თუ ასეთი გადახდები ან იმპორტი აკრძალულია გაერთიანებული ერების უსაფრთხოების საბჭოს გადაწყვეტილებით, გაეთიანებული ერების წესდების VII მუხლის საფუძველზე.

კონკურსანტები მონვეულნი არიან წარმოადგინონ წინადადება მთლიან კონტრაქტზე. იმისათვის, რომ მინიჭებულ იქნას კონტრაქტი კონკურსანტი (ან მასთან ასოცირებული კომპანია) უნდა აკმაყოფილებდენ შემდეგ მინიმალურ საკვალიფიკაციო კრიტერიუმებს:

- კონკურსანტის საშუალო წლიური ბრუნვა ბოლო სამი წლის განმავლობაში უნდა იყოს არანაკლებ 3,500,000 ევროს ექვივალენტი;
- კონკურსანტს, როგორც გენერალურ კონტრაქტორს, ბოლო 5 წლის განმავლობაში წარმატებით უნდა ჰქონდეს განხორციელებული ზემოხსენებული სამუშაოების მსგავსი სირთულის მქონე მინიმუმ ორი კონტრაქტი.
- კონტრაქტის განხორციელებისათვის საჭირო საბრუნავი კაპიტალის არსებობის უზრუნველყოფის მიზნით თითოეულ კონკურსანტს უნდა ჰქონდეს კრედიტის აღების ან სხვა

ფინანსური სახსრების მოზიდვის შესაძლებლობა. ნებისმიერ შემთხვევაში, ამ პროექტის განსახორციელებლად საჭირო ფინანსური სახსრების ოდენობა უნდა იყოს მინიმუმ 0,8 მილიონი ევროს ექვივალენტში;

საკონკურსო დოკუმენტაცია კონკურსის მონაწილეებს შეუძლიათ შეიძინონ ქვემოთ მითითებულ მისამართზე წერილობითი განაცხადის წარმოდგენისა და თითოეული კომპლექტისათვის აუნაზღაურებადი 300 ლარის (ან ექვივალენტი კონვერტირებად ვალუტაში, პლიუს კურიერის ხარჯები, თუ კონკურსანტს სურს, რომ დოკუმენტაცია მიწოდებულ იქნას კურიერის საშუალებით) გადახდისას. მოთხოვნის შემთხვევაში საკონკურსო დოკუმენტაცია მყისვე გაგზავნილ იქნება კურიერის საშუალებით, თუმცა დაკარგვის ან მიწოდების დაგვიანების შემთხვევაში პასუხისმგებლობა არ ეკისრება "დამქირავებელს". შეძენილი საკონკურსო დოკუმენტაციის ასლი შეიძლება გაეგზავნოს კონკურსანტს ელექტრონული ფოსტის საშუალებით.

გადახდა იწარმოებს ქვემოთ მითითებულ საბანკო რეკვიზიტებზე თანხის გადარიცხვის საშუალებით:

ბანკი რესპუბლიკა. გრ. აბაშიძის ქ. N2, თბილისი საქართველო
SWIFT: REPLGE22 C/A No.: 04-414-550 with
Deutsche Bank Trust Company Americas, NY
SWIFT: BKTRUS33, ABA#021001033, CHIPS UID: 379104
ა.შ.შ. დოლარის საბანკო ანგარიშის ნომერი: 334 180 001
ლარის საბანკო ანგარიშის ნომერი: 383 408 00 01
ბენეფიციარი: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
შესაბამისი მითითებით: "მონვევა სატენდერო პაკეტის შეძენაზე N EBRD/W/ICT/1-Borjomi"

ყველა საკონკურსო წინადადებას თან უნდა ახლდეს წინადადების საბანკო გარანტია, რომლის ფორმაც მითითებული სატენდერო დოკუმენტაციაში, 45 000 (ორმოცდახუთათასი) ლარზე (ან ექვივალენტურ თანხაზე თავისუფლად კონვერტირებად ვალუტაში).

საკონსურსო წინადადებები უნდა იქნას სათანადოდ შევსებული და მოწოდებული ქვემოთ მითითებულ მისამართზე არაუგვიანეს **2009 წლის 4 სექტემბრისა, 12:00 სთ.** (ადგილობრივი დროით), სადაც ისინი გაიხსნება კონკურსის იმ მონაწილეთა თანდასწრებით, რომლებიც გამოთქვამენ სურვილს დაესწრონ წარმოდგენილი წინადადებების გახსნის პროცედურას. დაგვიანებული წინადადებები უარყოფილ იქნება და დაუბრუნდება წარმომდგენს გაუხსნელად.

კონკურსანტებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია და შეიძინონ საკონკურსო დოკუმენტაცია შემდეგ მისამართზე:

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი:
ბ-ნი ლაშა გოცირიძე, აღმასრულებელი დირექტორი
ქ. თბილისი, 0112, დავით აღმაშენებლის გამზირი N150, IV სართული, ოთახი 405
ტელ: (995 32) 48-45-09/10/11/15/55
ელ. ფოსტა: procurement@mdf.org.ge

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქალაქ თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობა აცხადებს ტენდერს ნაძალადევი - მდ. მტკვრის მარცხენა ტერასაზე მდებარე ქვიშხეთის ქუჩის კაპიტალური შეკეთების სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტის მოკლე დახასიათება:

კაპიტალურ შეკეთებას ექვემდებარება N1 გზის 448 მ-იანი და N2 გზის 250 მ-იანი მონაკვეთები, საერთო ფართობით 11363 მ2, მ/შორის ძირითადი გზის ა/ბეტონის საფარი 4225 მ2, მიერთებები, ჯიბეები და კორპუსების ეზოები 6241 მ2, სადარბაზოებთან მისასვლელები და ტროტუარები 897 მ2

შესასრულებელი საგზაო სამუშაოების დეტალური აღწერილობა მოცემულია ტექნიკურ დავალებაში, რომელიც ტენდერში მონაწილეებს გადაეცემათ სატენდერო დოკუმენტაციასთან ერთად.

2. მიწოდების სავალდებულო ვადაა: ხელშეკრულების გაფორმებიდან ეტაპობრივად, არაუშვიანეს 3 თვე.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება 1 დედანი და 2 ასლი (ერთ დალუქულ კონვერტში) ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ **2009 წლის 11 აგვისტოს 11:00 საათიდან - 2009 წლის 11 აგვისტოს 15:00 საათამდე**, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, სარაჯიშვილის გამზირი N1, გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობა, V სართული.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას*:

4.1. იურიდიული პირისათვის:

- ამონაწერს სამენარმეო რეესტრიდან.
- ცნობას, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნას საგადასახადო ინსპექციიდან იურიდიული პირის რეგისტრაციის ადგილის მიხედვით).
- ცნობას, რომ არ მიმდინარეობს იურიდიული პირის გადახდისუუნარობის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნას სასამართლოდან).
- ცნობას იურიდიული პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (იუსტიციის სამინისტროსთან არსებული საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან).

4.2. ფიზიკური პირისათვის:

- ცნობას შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია.
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლს.
- საგადასახადო ინსპექციაში რეგისტრაციის დამადასტურებელ საბუთს.
- ცნობას, რომ არ მიმდინარეობს ფიზიკური პირის გადახდისუუნარობის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნას სასამართლოდან).
- ცნობას ფიზიკური პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (იუსტიციის სამინისტროსთან არსებული საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან).

4.3. როგორც იურიდიული ასევე ფიზიკური პირისათვის:

4.3.1 ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის მიმართ დავალიანების არქონის შესახებ.

4.3.2 ცნობას სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან, რომ პრეტენდენტი არ არის შეყვანილი შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერი პირების, პრეტენდენტების და მომ-

წოდებლების რეესტრში.

4.3.3 ინფორმაციას სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ.

4.3.4 ინფორმაციას ბოლო 3 წლის განმავლობაში შესრულებული ანალოგიური სამუშაოების შესახებ

5. პრეტენდენტების მიერ განცხადების მე-4-ე პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნები შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება, გარდა 4.3.1, 4.3.3 და 4.3.4 პუნქტების მოთხოვნებისა. საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები გაცემული უნდა იყოს ამ განცხადების გამოქვეყნების შემდგომ პერიოდში.

6. თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

7. სატენდერო მოსაკრებლის 200 /ორასი/ ლარის გადახდის შემდგომ სატენდერო დოკუმენტაცია მოთხოვნის შესაბამისად ქართულ ენაზე გაიცემა **2009 წლის 21 ივლისის 11:00 საათიდან - 2009 წლის 10 აპრისტოს 17:00 საათამდე** შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, სარაჯიშვილის გამზ. N1, V სართული.

8. **თანხა გადახდილ უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე: მიმღები - სახელმწიფო ხაზინა; სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, ანგარიშის N200122900; ბანკის კოდი: 220101222; სახაზინო კოდი: 300773174;**

დანიშნულება: სატენდერო მოსაკრებელი, სახელმწიფო შესყიდვის ტენდერი რაიონში არსებული ქვიშხეთის ქუჩის კაპიტალური შეკეთების სამუშაოს შესყიდვა. გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობა.

9. პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ერთი სატენდერო წინადადება. ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება. ტენდერის შედეგად გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

10. ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის მექანიზმი 1%-ის ოდენობით საბანკო გარანტიის ფორმით, რომლის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.

11. ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულთან გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი ხელშეკრულების ღირებულების **5 %-ის** ოდენობით, საბანკო გარანტიის ფორმით.

12. დაინტერესებულ პირებს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე შესაძლებლობა ექნებათ გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში. ასევე, დამატებითი ინფორმაცია შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ნანა ლომჯარია - საკონტაქტო ტელეფონი: 65-58-58, მისამართზე: ქ. თბილისი, სარაჯიშვილის გამზირი N1, გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობა V სართული.

* არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოებიდან ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის სახით.

- სუბ-კონტრაქტორების აყვანის შემთხვევაში, ტენდერში მონაწილე ფიზიკური და/ან იურიდიული პირის მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს ასევე სუბ-კონტრაქტორების საკვალიფიკაციო მონაცემები განცხადების მე-4-ე პუნქტის მიხედვით.

სატენდერო კომისია



**საქართველოს
განათლების
და მასწავლებლის
სამინისტრო**

"საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში 2009 წლის 10 ივლისს დაინიშნა საჯარო ადმინისტრაციული წარმომადგენელი შპს "საქართველოს ტექნოლოგიების ინსტიტუტისათვის" უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზიის გაცემის თაობაზე. ლიცენზიის მანიჭების მიერ წარმოდგენილი განცხადებისა და დოკუმენტების ასლების გაცემა შესაძლებელია სამინისტროს შენობაში, მისამართზე: - ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. №52.

გადაწყვეტილება ლიცენზიის გაცემის ან ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის შესახებ სამინისტრომ უნდა მიიღოს საჯარო ადმინისტრაციული წარმომადგენლის დაწყებიდან 30 სამუშაო დღის ვადაში. განცხადების საჯარო გაცნობისთვის წარდგენის დღიდან 20 სამუშაო დღის განმავლობაში ნებისმიერი პირი უფლებამოსილია წერილობით წარმომადგენლის თავისი მოსაზრებები. პირი უფლებამოსილია საკუთარი მოსაზრების წარმომადგენლისა არ მიუთითოს ვინაობა".

დამატება განაცხადში ინტერესთა

გამოხატვის შესახებ

სს "კაუკაზუს ენერჯი ენდ ინფრასტრუქტურა"-ს შვილობილი კომპანია, შპს "მტკვარი ჰესი", 2009 წლის 24 ივნისს გამოცხადებულ ინტერესთა გამოხატვის განცხადებაში სამცხე-ჯავახეთში 38-42 მგვ სიმძლავრის ჰიდროელექტრო სადგურის მშენებლობაში მონაწილეობაზე, დაინტერესებულ პირებს დამატებით აწვდის ინფორმაციას სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობის თაობაზე, რომელიც ხელმისაწვდომია შემდეგ ვებ-გვერდზე: www.cei.ge

ცვლილება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ 2009 წლის 9 ივლისს გამოცხადებულ ტენდერში

დაფინანსების წყარო – სახელმწიფო ბიუჯეტი
შესყიდვის ობიექტი – პოლიგრაფიული პროდუქცია

განცხადება შეიცვალა და ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო (მის: ქ. თბილისი, გორგასლის №16) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, აცხადებს ტენდერს პოლიგრაფიული პროდუქციის შესყიდვაზე ნ ლოტად.

შესყიდვის ობიექტი:

ლოტი №	საქონლის დასახელება	განზომილების ერთეული	რაოდენობა
1	„საერთაშორისო ფინანსური კომპანიის, თავისუფალი საწყობის საწარმოს სტატუსის და საერთაშორისო საწარმოს სტატუსის მინიჭებისათვის“ განცხადება.	ცალი	1000
2	საერთაშორისო ფინანსური კომპანიის სტატუსის მინიჭების თაობაზე სერტიფიკატი	ცალი	500
	თავისუფალი საწყობის საწარმოს სტატუსის მინიჭების თაობაზე სერტიფიკატი	ცალი	500
	საერთაშორისო საწარმოს სტატუსის მინიჭების თაობაზე სერტიფიკატი	ცალი	500
3	საერთაშორისო ფინანსური კომპანიის, თავისუფალი საწყობის საწარმოს სტატუსის და საერთაშორისო საწარმოს რეესტრის ფორმულარი (ჟურნალი)	ცალი	10
	მიღების გადასახადის წლიური დეკლარაცია	ცალი	10 000
	საშემოსავლო გადასახადის წლიური დეკლარაცია	ცალი	10 000
	გადასახადის წყაროსთან დაკავშირებული გადასახადების დეკლარაცია	ცალი	200 000
	დამატებითი ღირებულების გადასახადის დეკლარაცია	ცალი	100 000
	აქციის დეკლარაცია	ცალი	5 000
4	საწარმოს/ორგანიზაციის ქონების გადასახადის წლიური დეკლარაცია	ცალი	10 000
	ფიზიკური პირის ქონების გადასახადის წლიური დეკლარაცია	ცალი	25 000
	ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლის გაანგარიშების ფორმა	ცალი	5 000
	სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის ყოველკვარტალური დეკლარაცია	ცალი	1 000
	მე-3 და მე-4 რიგის მექვიდრების მიერ მატერიალური აქტივების შემკვიდრებით ან/და ჩუქებით მიღებული შემოსავლების დეკლარაცია	ცალი	500
5	შემოსავლის ზედდებულის ფორმები	კომპლექტი	5 000
	გასავლის ფაქტურის ფორმები	კომპლექტი	8 000
6	დავების განხილვის საბჭოს ბლანკი	ცალი	5 000

2. ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს.

3. პოლიგრაფიული პროდუქციის მიწოდება სასურველია განხორციელდეს ეტაპობრივად სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების გაფორმებიდან 2009 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, შესყიდვების მთლიანად შესაბამისად. პირველი მიწოდება სასურველია განხორციელდეს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში. მიწოდება უნდა განხორციელდეს ქ. თბილისში, გორგასლის №16-ში.

4. პრეტენდენტებსა ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ ერთ დახურულ კონვერტში 2009 წლის 30 ივლისს 09:00 საათიდან 14:00 საათამდე მე-17 პუნქტში მითითებულ მისამართზე.

18.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

5.1 **იურიდიული პირებისათვის:**

ა) ცნობა საგადასახადო ორგანოდან, რომ მის მიმართ არ ხორციელდება რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

ბ) ცნობა შესაბამისად თბილისის ან ქუთაისის საქალაქო სასამართლოდან, გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ;

გ) აღიარებული საიწარმოო რეესტრიდან.

5.2 **ფიზიკური პირებისათვის:**

ა) ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულებიდან პირის ქმედუნარიანობის შესახებ;

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

5.3 **როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისათვის:**

ა) სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წერილი, რომ პრეტენდენტი არ არის რეგისტრირებული შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერ პირთა რეესტრში;

ბ) ცნობა საგადასახადო ორგანოდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ;

გ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, საჯარო სამართლებრივი შეზღუდვის არ არსებობის შესახებ.

6. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის მიზნით გამოიყენება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის 1%-იანი საბანკო გარანტია (გარანტიის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას).

7. სატენდერო წინადადება შეფასდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

№	შეფასების კრიტერიუმი	პრიორიტეტულობის კოეფიციენტები
1	სატენდერო წინადადების ღირებულება	0.40
2	პროდუქციის ხარისხი	0.40
3	მიწოდების ვადები	0.20
სულ:		1.00

8. სატენდერო წინადადებები არ ჩაითვლება მისაღებად და არ დაიშვება შეფასებაზე თუ პრეტენდენტი მე-4 პუნქტში დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს სატენდერო განცხადების მე-5 პუნქტში მოთხოვნილ ყველა ცნობასა და ინფორმაციას. თუ რომელიმე მათგანი ქაღალდზე აღმოჩნდება ან ვერ დაკმაყოფილებს სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილ პირობებს, აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ სატენდერო წინადადებაში გათვალისწინებული არ იქნება შეფასებისათვის აუცილებელი ინფორმაცია მე-7 პუნქტში განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით.

9. თუ წინამდებარე შესყიდვის ფარგლებში, შესყიდვებში მონაწილეობის მსურველი პირის მიერ გათვალისწინებული იქნება სუბკონტრაქტორების ჩართვა, მაშინ, სატენდერო განცხადების მე-5 პუნქტის მოთხოვნები სავალდებულო იქნება ასევე ყველა სუბკონტრაქტორისათვის.

10. ტენდერის შედეგად გამოიღონდება ერთი ან მეტი გამარჯვებული, რომელმაც ხელშეკრულების გაფორმების დროს, უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, ხელშეკრულების ღირებულების 2%-ის ოდენობით.

11. შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება მე-5 და მე-6 პუნქტებში აღნიშნული დოკუმენტები და ინფორმაცია.

12. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შესყიდვებში მონაწილეობის მსურველ პირებს შეეძლება (მე-16 პუნქტში აღნიშნული მოსაკრებლის გადახდის შემდეგ) 2009 წლის 9 ივლისის 09:00 საათიდან 2009 წლის 29 ივლისის 18:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ქ. თბილისი 0114, გორგასლის ქ. №16, მე-8 სართული ოთახი №8-9, სატენდერო კომისიის აპარატში.

13. ტენდერში მონაწილეობის მსურველ ყველა ფიზიკურ და იურიდიულ პირს შეუძლია სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე შემსყიდველ ორგანიზაციაში გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას.

14. სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება 2009 წლის 30 ივლისს 14:00 საათზე.

15. ალტერნატიული სატენდერო წინადადებები არ განიხილება.

16. სატენდერო დოკუმენტაციის მისაღებად, შესყიდვებში მონაწილეობის მსურველმა პირებმა უნდა გადაიხადოს სატენდერო მოსაკრებელი - 200 ლარის ოდენობით შემდეგ რეკვიზიტებზე:

მიმღები – ხაზინის ერთიანი ანგარიში

ანგ. №200122900, სახელმწიფო ხაზინა, კოდი 220101222, სახაზინო კოდი 302006000

გადახდის დანიშნულება – სატენდერო მოსაკრებელი, პოლიგრაფიული პროდუქციის შესყიდვა, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

და წარადგინოს გადახდის დამადასტურებელი საბუთი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სატენდერო კომისიის აპარატში მე-17 პუნქტში მითითებულ მისამართზე.

17. შესყიდვებში მონაწილეობის მსურველ პირებს დამატებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სატენდერო კომისიის აპარატში. ქ. თბილისი, ვ. გორგასლის ქ. №16, მე-8 სართული, ოთახი №8-9; ტელეფონი: (+99532) 261-337; 261-335. საკონტაქტო პირი: ალექსანდრე თედორაძე, ელ-ფოსტა: a.tevdoradze@mof.ge „

ბანცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერია (ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25) აცხადებს ტენდერს ქ. ბათუმის ზღვისპირა პარკში ბეტონის ბექდური საფარის მოწყობის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. სამუშაოების შესრულების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2009 წლის 1 ოქტომბრამდე პერიოდი.

3. სატენდერო დოკუმენტაციის (ქართულ ენაზე) გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებლის გადახდისა და გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ*, 2009 წლის 21 ივლისის 12:00 საათიდან 2009 წლის 10 აგვისტოს 18:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25, ქ. ბათუმის მერიის ადმინისტრაციის შესყიდვების სამსახური.

*ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე შესაძლებლობა აქვთ გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას.

4. სატენდერო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 200 (ორასი) ლარს. მოსაკრებელი გადახდილ უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე:

- მიმღების დასახელება: თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერია
- ს/კ 245576826
- მიმღების ბანკი: ს.ს. "პროკრედიტ ბანკი", ბათუმის ფილიალი
- ბანკის კოდი: 220101901
- ანგარიში: 360801010300125
- გადახდის დანიშნულება: სატენდერო მოსაკრებელი, ქ. ბათუმის ზღვისპირა პარკში ბეტონის ბექდური საფარის მოწყობის სამუშაოები

5. პრეტენდენტებმა განცხადება (დალუქვის გარეშე), საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე, ორ ნაბეჭდო ეგზემპლარად (ერთი დედანი და ერთი ქსეროასლი) და ერთ ელექტრონულ ეგზემპლარად (CD დისკზე), დალუქული კონვერტებით უნდა წარმოადგინონ 2009 წლის 11 აგვისტოს 10:00 საათიდან 15:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმის, ლუკა ასათიანის ქ. N25, ქ. ბათუმის მერიის ადმინისტრაცია. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ ერთი სატენდერო წინადადება.

6. პრეტენდენტების საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

- 6.1. იურიდიული პირებისათვის:**
- ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
 - ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების და სანაციის საქმის წარმოება;
 - გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რე-

ორგანიზაცია და ლიკვიდაცია;

დ) ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ იურიდიული პირის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.

6.2. ფიზიკური პირებისათვის:

- ა) ცნობა უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;
- ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება.

6.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

- ა) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ;
- ბ) ცნობა მომსახურე ბანკიდან საბანკო ანგარიშზე ყადაღის (ინკასოს) არარსებობის შესახებ;

შენიშვნა:

- პრეტენდენტებმა სატენდერო წინადადებასთან ერთად (ერთ დალუქულ კონვერტში) უნდა წარმოადგინონ სუბკონტრაქტორების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები განცხადების მე-6 პუნქტის შესაბამისად;
- პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ დედნის სახით ან ნოტარიულად დამოწმებული ასლები;
- განცხადების მე-6 პუნქტში ჩამოთვლილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა იყოს გაცემული არაუმეტეს სატენდერო განცხადების გამოქვეყნებიდან სატენდერო წინადადების მიღების თარიღამდე.

7. პრეტენდენტის მიერ განცხადების მე-6 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები საკვალიფიკაციო შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.

8. ტენდერში მონაწილე პრეტენდენტის სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს საბაზისო მონაცემების 9.1. პუნქტით განსაზღვრულ დოკუმენტებს.

9. ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის მექანიზმი (გარანტირება, სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ის ოდენობით);

